



გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

ISET-თან ერთად

კვლევითი ნაშრომების სერიები [PS/01/2016]

ევროპის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური
ინვესტიციების მოზიდვა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის
გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო
სივრცის შესახებ შეთანხმებისა და სატარიფო სხვაობების როლი

ვერონიკა მოვჩანი, დავიდ საჰა

ბერლინი, თბილისი, მაისი, 2016 წელი

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველოს შესახებ

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო (შემდეგში GET) ეხმარება საქართველოს მთავრობასა და სხვა ქართულ სახელმწიფო დაწესებულებებს, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკის პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ მუდმივად ვხვდებით უმაღლესი დონის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ვაცნობთ ჩვენს ანალიტიკურ საქმიანობას. GET ფინანსდება გერმანიის ეკონომიკის საქმეთა და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ. ჩვენი პუბლიკაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ-გვერდზე (www.get-georgia.de).

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

ასევე: Berlin Economics

შილერის ქ. #59, D-10627, ბერლინი, გერმანია

ტელ.: +49 30 / 20 61 34 64 0

ფაქსი: +49 30 / 20 61 34 64 9

ელ-ფოსტა: info@get-georgia.de

www.get-georgia.de

© 2016 გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

ყველა უფლება დაცულია.

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა და სატარიფო სხვაობების როლი

დასკვნა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ხელშეწყობის გარდა, შეუძლია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი შეასრულოს: მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი) საქართველოში. ინვესტორები ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან შეიძლება დაინტერესდნენ, გამოიყენონ საქართველო როგორც „საექსპორტო პლატფორმა“, რათა აწარმოონ ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქცია და ისარგებლონ გადასახადებისგან თავისუფალი წვდომით ევროკავშირის ბაზრებზე. ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ სატარიფო სხვაობებით განპირობებული „ტარიფებისთვის თავის არიდების“ გამო. საუბარია სხვაობაზე ტარიფებს შორის (იგულისხმება სხვაობა ინვესტორების მიერ, ერთ შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნიდან, მეორე შემთხვევაში კი, საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში) და არასატარიფო ბარიერებზე (Non-tariff barriers – NTB), რომლებიც აქვთ საკუთარი ქვეყნიდან ექსპორტის შემთხვევაში და რომლისგანაც თავისუფალი იქნებიან საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში.

კვლევითი ნაშრომი სწავლობს საქართველოს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალს, რომელსაც განაპირობებს როგორც სხვაობა ტარიფებს შორის, ისე არასატარიფო ბარიერები ინვესტორის წყარო ქვეყანაში. ჩვენ განვსაზღვრავთ პროდუქტებსა და წყარო ქვეყნებს, რომელთაც ყველაზე მეტი პოტენციალი აქვთ საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის მოზიდვის თვალსაზრისით.

წყარო ქვეყნები და პოტენციური პროდუქტები

წყარო ქვეყნები შეირჩა ევროკავშირზე არსებული წვდომის, გეოგრაფიული სიახლოვის, საქართველოსთან ეკონომიკური კავშირებისა და ეკონომიკური სიმდიდრის ფაქტორების გათვალისწინებით. პუი-ისთვის განისაზღვრა რვა ქვეყანა, რომელთა ინვესტორებს აქვთ ყველაზე მეტი პოტენციალი, საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიცია ჩადონ საქართველოში, რაც სჭირდებათ ევროკავშირის ბაზრებზე გასასვლელად. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, კუვეიტი, რუსეთი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამირო.

პირველ რიგში, პოტენციური ქვეყნები შეირჩა ევროკავშირის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (Most Favored Nation – MFN) ტარიფების ოდენობის მიხედვით, რომელიც მოქმედებს ინვესტორის მშობლიურ ქვეყანაზე. ჩვენ, ასევე, ვამოწმებთ საქართველოს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომის ხელმისაწვდომობას ევროკავშირის ბაზარზე და რამდენად ლმობიერია წარმოშობის წესების მოთხოვნები, რათა რეალისტურად მივცეთ ინვესტორს საშუალება, გამოიყენოს საქართველო, როგორც ევროკავშირის საექსპორტო პლატფორმა. მეტიც, ჩვენ წყარო ქვეყნებზე მოქმედ ისეთ არასატარიფო ბარიერებს, როგორცაა, მაგალითად, სატარიფო განაკვეთების კვოტები, სავაჭრო შეზღუდვები ან სურსათის უსაფრთხოების ზომები, განვიხილავთ როგორც საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის დამატებით სტიმულს.

ბევრ სასოფლო-სამეურნეო და სურსათის მრეწველობის პროდუქტს აქვს მაღალი ტარიფები და არასატარიფო ბარიერები ევროკავშირის ბაზარზე, რითიც ქმნის საექსპორტო პლატფორმისთვის

საჭირო ინვესტიციების ჩადების პოტენციალს. თუმცა ამ პროდუქტების უმეტესობა ან გამოყენებული წარმოების საშუალებები მთლიანად უნდა იყოს წარმოებული საქართველოში, რათა ქვეყანამ ისარგებლოს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომით. ამიტომ საინვესტიციო პროექტები ეკონომიკურად შესაძლებელი უნდა იყოს ამ პირობების გათვალისწინებით. ასევე, ინვესტიციების მოზიდვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის საჭირო საექსპორტო პლატფორმაში მიღწევადია მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში, რადგან საქართველოს სურსათის უსაფრთხოების სისტემა ჯერ კიდევ არ არის ავტორიზებული ევროკავშირის მიერ. სამრეწველო პროდუქტების სია, რომელსაც აქვს მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის, მცირეა, თუმცა აქაც გვაქვს საინტერესო ვარიანტები, ძირითადად ფეხსაცმლისა და ქსოვილების, ქიმიური პროდუქტების, კერამიკული და მინის ნაწარმის მიმართულებით.

ქვეყანა-პროდუქტის კომბინაცია

ჩვენ განვსაზღვრეთ წყარო ქვეყნებისა და იმ პროდუქტების კომბინაციები, რომლებიც ამ ქვეყნების ინვესტორებს შეიძლება აინტერესებდეთ. გავითვალისწინეთ ისიც, უკვე რომელი პროდუქტის ექსპორტს აწარმოებს წყარო ქვეყანა ევროკავშირის გარეთ ბაზრებზე.

ჩინეთს უკვე აქტიურად შეაქვს ექსპორტზე ევროკავშირში პროდუქტების უმეტესობა, თუმცა 2015 წლამდე ჩინეთი სარგებლობდა პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (Generalized System of Preferences – GSP) შეღავათებით. 2015 წლის შემდეგ ის ვეღარ ისარგებლებს ამ შეღავათებით. ამერიდან მას მოუწევს, ისარგებლოს MFN-ის უფრო მაღალი ტარიფებით. ამან შეიძლება მნიშვნელოვნად წაახალისოს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი, რათა ჩინეთმა გადალახოს ახალდაწესებული ტარიფების ბარიერი, განსაკუთრებით სამრეწველო პროდუქტებისთვის. ეს საშუალებას მისცემს ჩინეთს კვლავ გააგრძელოს ამ პროდუქტების წარმოებიდან სარგებლის მიღება.

სხვა პოტენციური წყარო ქვეყნებისთვის ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო და სურსათის პროდუქტების ბაზარი ზოგადად დაკეტილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამარაგებენ სხვა ბაზრებს. ამიტომ ისინი შეიძლება დაინტერესდნენ საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების ჩადებით სასოფლო-სამეურნეო და სურსათის სექტორებში. სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი უფრო გავრცელებულია. პოტენციური წყარო ქვეყნების უმეტესობა უკვე ამარაგებს ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების ბაზრებს, თუმცა მაინც რჩება პროდუქტების საინტერესო, ერთეული ხაზები, განსაკუთრებით ტექსტილის მრეწველობაში. ქვეყანა-პროდუქტის უაღრესად საინტერესო კომბინაციებია:

აზერბაიჯანი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: შაქარი, მცენარეული ზეთები და შერჩეული ახალი ბოსტნეული და ხილი
- სამრეწველო პროდუქტები: ჩანთები, ტყავის პროდუქტები და ქსოვილები

ჩინეთი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ხორცი, რძის პროდუქტები, ზოგიერთი ბოსტნეული და ეთილის სპირტი
- სამრეწველო პროდუქტები: ქსოვილები, ტყავის პროდუქტები, ქიმიური პროდუქტები
- ევროკავშირის მიერ დაწესებული სავაჭრო შეზღუდვები შეიძლება დამატებითი სტიმული იყოს.

ირანი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: კიტრი, შაქარი, შერჩეული რძის პროდუქტები (მაღალი არასატარიფო ბარიერები)
- სამრეწველო პროდუქტები: ფეხსაცმელი, ჭურჭელი, ხალიჩები, ტომრები და ჩანთები, კერამიკული ნიჟარები

ყაზახეთი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: მარცვლეული და რძის პროდუქტები, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, რომლებზეც მოქმედებს არასატარიფო ბარიერები
- სამრეწველო პროდუქტები: ფეხსაცმელი, სანიტარული პირსახოცები, ჭურჭელი, ტყავი და ქსოვილები

კუვეიტი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: რძის პროდუქტები და ფქვილი, არასატარიფო ბარიერები კუვეიტისთვის არის დამატებითი სტიმული
- სამრეწველო პროდუქტები: კარვები, მინის ბოჭკოს პროდუქტები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

რუსეთი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ცხოველური წარმოშობის პროდუქტები
- სამრეწველო პროდუქტები: საბურავის ბოჭკოს ქსოვილი და იატაკის ქსოვილის საფარი

საუდის არაბეთი:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: წვენები, შაქარი და რძის პროდუქტები
- სამრეწველო პროდუქტები: ქსოვილის პროდუქტები

არაბთა გაერთიანებული საამირო:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: რძის პროდუქტები, ცხოველთა კვებაში გამოყენებული პრეპარატები, ხორცი
- სამრეწველო პროდუქტები: ტანსაცმელი და იატაკის ფილები

საქართველოს მთავრობამ მიზანმიმართული ინვესტიციების მოზიდვის მიზნით უნდა გამოიყენოს აქ წარმოდგენილი საექსპორტო პლატფორმის პოტენციალისთვის პროდუქტების იდენტიფიცირება როგორც პოტენციური ინვესტორების მოზიდვის, ისე მათთვის საქართველოში ინვესტიციების ჩადებიდან მიღებული სარგებლის გაცნობის კრიტერიუმში. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე. ამიტომ ინვესტიციების მოზილიზებისთვის, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა DCFTA-ის მქონე სხვა ქვეყნებთან და ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებთან მიმართებაში.

ავტორები

ვერონიკა მოვჩანი	movchan@berlin-economics.com	+380 50 95 18 49 6
დავიდ საჰა	saha@berlin-economics.com	+ 49 30 20 61 34 64 0

მადლობა

ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უხდიან რიკარდო გიუჩის ღირებული კომენტარებისთვის და გიორგი მჟავანაძეს კვლევისას გაწეული შესანიშნავი დახმარებისთვის.

სარჩევი

1.	შესავალი.....	1
2.	პუი საქართველოში	2
2.1	არსებული ტენდენციები	2
2.2	სატარიფო განაკვეთის სხვაობებით განპირობებული საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალი	4
3.	პოტენციური წყარო ქვეყნები	6
3.1.	ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმები	6
3.2.	ქვეყნების შერჩევა.....	7
4.	მაღალი სატარიფო სხვაობებისა და ღმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტები	8
4.1	მეთოდოლოგია.....	9
4.2	შედეგები.....	10
	სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტები	12
	სამრეწველო პროდუქტები	13
5.	ექსპორტიორების წინაშე არსებული არასატარიფო ბარიერები	14
6.	წყარო ქვეყნები-პროდუქტის კომბინაციები	18
7.	დასკვნები და რეკომენდაციები	22
	დანართი.....	23

1. შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გაზრდის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებლის გარდა, შეუძლია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი შეასრულოს: მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი) საქართველოში. ვინაიდან, ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, მიუხედავად ზრდისა, სამუშაო ძალის პროდუქტიულობა და, შესაბამისად, ხელფასები საქართველოში კვლავ დაბალია, ხოლო სამინაო დანაზოგები მწირია, პუი საჭიროა, რათა გაიზარდოს კაპიტალის მარაგი, პროდუქტიულობა და ხელფასები.

არსებობს DCFTA-ს საშუალებით პუი-ის მოზიდვის ორი გზა: (1) საქართველოში წარმოების ბევრად დაბალმა ხარჯებმა, შემდეგ კი სავაჭრო ბარიერების გარეშე უკან ევროკავშირში ექსპორტზე შესვლამ შეიძლება ხელი შეუწყოს ევროკავშირის ქვეყნებიდან პუი-ის მოზიდვას, (2) შესაძლებელია პუი-ის მოზიდვა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ გაფორმებული DCFTA ევროკავშირთან. ინვესტორები ამ ქვეყნებიდან შეიძლება დაინტერესდნენ საქართველოს, როგორც „საექსპორტო პლატფორმის“, გამოყენებით, რათა აწარმოონ ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქტები და ისარგებლონ ევროკავშირის ბაზრებზე გადასახადებისგან თავისუფალი წვდომით. ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ სატარიფო სხვაობებით განპირობებული „ტარიფებისთვის თავის არიდების“ გამო. საუბარია სხვაობაზე ტარიფებს შორის და იგულისხმება სხვაობა, რაც ინვესტორს აქვთ, ერთ შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნიდან, მეორე შემთხვევაში კი, საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში. მაღალმა სატარიფო ბარიერებმა შეიძლება უზიძგოს ინვესტორებს, ეძებონ „სატარიფო კედლის შემოვლის“ შესაძლებლობები და დაიწყონ წარმოება ქვეყანაში, რომელსაც აქვს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომა ამ ბაზარზე.

აღნიშნული კვლევითი ნაშრომი აფასებს საქართველოს პოტენციალს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის და იძლევა რეკომენდაციებს, რა უნდა გაკეთდეს ამ პოტენციალის გამოსაყენებლად. იმისთვის, რომ განვსაზღვროთ პოტენციალი, უნდა ვუპასუხოთ ორ კითხვას:

1. რომელი პროდუქტებისთვის შეიძლება იყოს საქართველო მიმზიდველი საექსპორტო პლატფორმა?
2. რომელი ქვეყნებიდან შეიძლება იყონ პოტენციური ინვესტორები?

ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე გაუმჯობესებული წვდომით მიღებულ სარგებელზე და მიზნად ვისახავთ საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალის შეფასებას. ამიტომ ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ სხვაობაზე ტარიფებს შორის, ვითვალისწინებთ „წარმოშობის წესების“ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავს პროდუქტის წარმოებაში საქართველოს (ევროკავშირის, ან ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA-ის) დამატებული ღირებულების მინიმალურ დონეს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ პროდუქტმა DCFTA-ის ფარგლებში მოიპოვოს ტარიფებისგან თავისუფალი ვაჭრობის უფლება. ვითვალისწინებთ სხვა არასატარიფო ბარიერებსაც.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ არ ვითვალისწინებთ, რამდენად შესაფერისია კონკრეტული პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო დამატებითი პირობები საქართველოში: როგორია სამუშაო ძალის ხარჯები და ხარისხი, ინფრასტრუქტურა ან კლიმატი. ამგვარად, ჩვენ მიერ აღნიშნულ

ნაშრომში განხილული პროდუქტების სპექტრი უნდა დაექვემდებაროს შემდგომ შესწავლას, რათა ზუსტად დავადგინოთ საქართველოს პოტენციალი, სანამ რეალურად დავუკავშირდებით პოტენციურ ინვესტორებს ამავე კვლევაში შერჩეული ქვეყნებიდან.

კვლევითი ნაშრომის წყობა შემდეგია: მეორე თავი მოკლედ მიმოიხილავს პუი-ის საქართველოში და დეტალურად აღწერს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების იდეას. მესამე თავი ეთმობა საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციური წყარო ქვეყნების შერჩევას. მეოთხე თავი ეთმობა იმ პროდუქტების განსაზღვრას, რომელთაც აქვთ ტარიფებისთვის თავის არიდების პოტენციალი და ლმობიერი წარმოშობის წესები. მეხუთე თავი მიმოიხილავს შიდა და საშიზნე ბაზრებზე მოქმედ არასატარიფო ბარიერებს. მეექვსე თავში განვიხილავთ ქვეყანა-პროდუქტის საუკეთესო კომბინაციებს, ხოლო მეშვიდე თავში წარმოვადგენთ რეკომენდაციებს, როგორ შეუძლია მთავრობას, წახალისოს საქართველოს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალი.

2. პუი საქართველოში


პუის მსხვილი ნაკადების შემოდინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაზრდელად, ისე ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, რაც არის მცირე ექსპორტით გამოწვეული მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი. ამის მისაღწევად ქვეყანას სჭირდება ინვესტიციები, მაგრამ საშინაო დანაზოგი დაბალია, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ცხოვრების დაბალი დონე, რაც ამცირებს ინვესტიციების პოტენციალს შიდა აგენტებისგან. ამგვარად, პუი არის დანაზოგების პრობლემის მოგვარების გზა, რაც განაპირობებს საქართველოს ეკონომიკაში კაპიტალის მარაგის სასურველ ზრდას.

2.1 არსებული ტენდენციები

ბოლო წლების განმავლობაში პუი ძალიან მაღალი იყო. იგი მკვეთრად გაუმჯობესდა 2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. 2015 წელს პუი-ის წმინდა ნაკადი 1.35 მილიარდი აშშ დოლარი იყო, რამაც ქვეყნის მშპ-ის 9.7% შეადგინა.

გრაფიკი #1

პუი-ის შემოდინება საქართველოში



წყარო: საქსტატი

პუი-ის ეს მასობრივი შემოდინება – დღემდე ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით – განაპირობა როგორც საქართველოს მაკროეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტაბილურობამ, ისე შესანიშნავმა ბიზნეს-გარემომ. ამკარაა, რომ პუი-ის შემოდინება მკვეთრად გაუმჯობესდა 2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმებით საქართველო წარუმატებელი ქვეყნიდან გარდამავალ ეტაპზე მყოფ ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ქვეყანად იქცა. 2015 წელს, საქართველოს პუი-ის უმთავრესი წყარო ქვეყნები იყო აზერბაიჯანი (40%) და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა, კერძოდ: დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდების სამეფო (8%) და ლუქსემბურგი (6%) (დეტალებისთვის იხ. დანართი). ამ სიაში ნიდერლანდების სამეფოსა და ლუქსემბურგის არსებობა მაინცდამაინც არ ნიშნავს, რომ ფინანსურ სამოთხეში საქართველოს აქვს მსხვილი აქტივები, რადგან ასეთი ქვეყნები, როგორც წესი, მიმზიდველია ინვესტორებისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული სამართლებრივი მიზეზების გამო მათ სჭირდებათ ინვესტიციების ჩადება საზღვარგარეთ.

ცხრილი #1

პუი-ის 6 მოწინავე პროექტი საქართველოში, 2015 წელი


პროექტი	2015 წლის მოცულობა, აშშ დოლარი (დაახლოებით)
სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტი	556
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების პირველადი განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟაზე	100
ისტოფონთის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა	100
შუახევის ჰესის მშენებლობა	100
ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი	66
ნენსკრას ჰესის მშენებლობა	30
ჯამი	952

წყარო: პროექტების ვებ-გვერდები, საკუთარი გამოთვლები

საქართველოს პუი-ის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ის არის, რომ ის შეიძლება მიეწეროს მსხვილ პროექტებს. მართლაც, 2015 წელს საქართველოს მთლიანი პუი-ის 70% შეიძლება მიეწეროს 6 მოწინავე პროექტს, რომელშიც დომინირებს ინფრასტრუქტურის ინვესტიციები. აზერბაიჯანის მიერ დაფინანსებულ სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტზე (რაც ხსნის აზერბაიჯანის 40%-იან წილს საქართველოს პუი-ის ნაკადში) მთლიანად დაკავშირებულია საქართველოს გავლით გაზის ტრანზიტთან. ასევე, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების პირველადი განთავსება არ არის რეალური შემოდინება საქართველოში, რადგან მისი, როგორც პუი-ის, კლასიფიკაცია არსებითად ბუღალტერიის და საკუთრების ცვლა უფროა, ვიდრე რეალური ინვესტიცია. ჰესების მშენებლობის პროექტები არის ის პროექტები, რომლებიც, სავარაუდოდ, პირდაპირ გაზრდის ქართულ ექსპორტს ელექტროენერჯის ექსპორტის მეშვეობით. ეს ფაქტი მიაწინებს საქართველოს პუი-ის მნიშვნელოვან თვისებაზე: მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის ინვესტიციები (მაგ.: ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი) ცალსახად ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, შედარებით ნაკლები ინვესტიცია იდება საქართველოში ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაში. ამას ადასტურებს პუი-ის სამიზნე სექტორების ჩაშლილი სია.

გრაფიკი #2

პუი-ის შემოდინება საქართველოში სექტორების მიხედვით, 2015 წელი



წყარო: საქსტატი

წარმოების სექტორებზე, რომლებიც საბოლოოდ გახდება ქვეყნის გამწევი ძალა ექსპორტისა და ხელფასების წახალისების საქმეში (მაგ.: მრეწველობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, სამთო მრეწველობა და ენერჯეტიკა), 2015 წელს პუი-ის მხოლოდ 25% მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთლიანი პუი ძალიან მაღალია, რაც საქართველოსადმი საერთაშორისო ნდობის დადასტურებად შეიძლება გავიგოთ, საქართველოში ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაში ჩადებული რეალური ინვესტიციების სახით პუი-ის ზრდა უნდა იყოს უმთავრესი მიზანი.

2.2 სატარიფო განაკვეთის სხვაობებით განპირობებული საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების პოტენციალი

განმარტების თანახმად, საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი არის წარმოებაში ჩადებული ინვესტიცია, რომლის პროდუქტი ძირითადად იყიდება არა წყარო (ინვესტორი) ან მასპინძელი ქვეყნის, არამედ მესამე ქვეყნის ბაზარზე.¹ ამ დროს ინვესტორი, როგორც წესი, ეძებს როგორც გასაღების პოტენციურ ბაზარს, ისე წარმოების რესურსების წყაროს. როგორც წესი, ინვესტიციები იდება მსხვილი ბაზრების მომსახურებისთვის; ასეთი ბაზრები ხშირად იქმნება რეგიონული გაერთიანების შესახებ შეთანხმებებით, მაგრამ პუი-ის რეალური დანიშნულების ადგილი ასეთ ბაზრებზე ირჩევა დანახარჯების გათვალისწინებით. საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის მაგალითებია ამერიკული ინვესტიციები ირლანდიაში, რათა აშშ გასულიყო ევროკავშირის ბაზარზე ან ევროკავშირის ინვესტიციები მექსიკაში, რათა ევროკავშირი გასულიყო NAFTA-ის ბაზარზე.

¹ კ. ეხოლმი, რ. ფორსლიდი, ჯ. მარკუენი (2003 წ.) საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. NBER-ის სამუშაო ნაშრომი 9517

საქართველოსთვის, რომელსაც აქვს DCFTA-ით მინიჭებული გადასახადებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, უადრესად კონკურენტული ხელფასები და მიმზიდველი ბიზნეს-გარემო, ეს რეალური პოტენციალია. პირველ რიგში, საქართველოს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს იმ სხვაობებზე ტარიფებს შორის, რაც პოტენციურ ინვესტორებს აქვთ იმ ქვეყნებიდან, რომელთაც არ აქვთ შეღავათიანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე: რამდენს დაზოგავს ინვესტორი პროდუქტის ტარიფზე და, შესაბამისად, მოიპოვებს კონკურენტუნარიანობას. გარდა ამისა, თუ ექსპორტიორებს აქვთ არასატარიფო ბარიერები საკუთარ ქვეყანაში ან სამიზნე ბაზარზე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს არ აქვს მსგავსი შეზღუდვები. პროდუქტის უსაფრთხოების წესების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული რეგულაციები უახლოს მომავალში მოვა შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმებთან. მეორე, ვინაიდან სხვაობა ტარიფებს შორის იგივე იქნებოდა ინვესტიციისთვის ევროკავშირის ან ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მქონე ქვეყანასთან, საქართველომ ხაზი უნდა გაუსვას ქვეყნის დანახარჯებში კონკურენტუნარიანობას და მისი ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობას.

შედეგად, საქართველომ უნდა მოძებნოს პროდუქტები, რომლებზეც ევროკავშირში მაღალი ტარიფებია და ინვესტორები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ისარგებლებენ ევროკავშირის ბაზარზე შეღავათიანი წვდომით. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციები მუშაობს ორი გზით:

- კომპანიებმა მესამე ქვეყნებიდან შეიძლება წარმოების პროცესის *ბოლო ეტაპ(ებ)ი* გადმოიტანონ საქართველოში. ასეთი კომპანიები საქართველოში შემოიტანენ ერთ ან რამდენიმე ნახევარფაბრიკატ პროდუქტს საკუთარი ქვეყნიდან და საქართველოში მხოლოდ ააწყობენ საბოლოო პროდუქტს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ექსპორტი ევროკავშირში DCFTA-ის ფარგლებში.
- კომპანიებს, რომელთა უმთავრესი შედარებითი უპირატესობა მდგომარეობს პროდუქტის წარმოების ნოუჰაუში, შეუძლიათ შემდეგ აწარმოონ ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი საექსპორტო პროდუქტები საქართველოში და კვლავ ისარგებლონ ევროკავშირის ბაზარზე გადასახადებისგან თავისუფალი წვდომითა და საქართველოში წარმოების დაბალი ხარჯებით.

კონკრეტული გადაწყვეტილება, თუ რომელი მიდგომა ავირჩიოთ, დამოკიდებულია ინვესტორის კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებულ შედარებით უპირატესობაზე, ისევე, როგორც წარმოების ფაქტორების და მასალების ხელმისაწვდომობაზე საქართველოში. თუ ინვესტორის უმთავრესი შედარებითი უპირატესობა არის ნოუჰაუ/ტექნოლოგია და პროდუქტი მთლიანად იწარმოება საქართველოში, ის ცალსახად დააკმაყოფილებს DCFTA-ის პრეფერენციებს. ამიტომ მთლიანად წარმოებულ პროდუქტებზე ორიენტირებული ინვესტორებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არის მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის და ბაზარზე წვდომის სხვა პირობები, როგორცაა სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნები.

თუმცა სხვა ინვესტორები ეცდებიან, საქართველოში გადმოიტანონ წარმოების პროცესის მხოლოდ ბოლო ეტაპი, რათა ისარგებლონ, მაგალითად, საკუთარ ქვეყანაში წარმოებული კონკურენტული წარმოების საშუალებებით ან იმიტომ, რომ ისინი დამოკიდებული არიან წარმოების საშუალებებზე, რომლებიც არ არის წარმოებული საქართველოში. ასეთი ინვესტორებისთვის წარმოშობის წესების რეგულაციები გადამწყვეტია, რადგან ისინი განსაზღვრავს, რამდენად აკმაყოფილებს მათი პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე გადასახადებისგან თავისუფალი წვდომის მოთხოვნებს. ეს მოითხოვს, რომ დამატებული ღირებულების მინიმალური დონე, წარმოების საშუალება ან სამრეწველო შემცველობა უნდა იყოს საქართველოდან ან სხვა ავტორიზებული ქვეყნიდან.

ევროკავშირში წარმოებული წარმოების საშუალებებიც, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებს პირობებს; და როგორც კი საქართველო შეუერთდება პანევროპულ-ხმელთაშუაზღვის რეგიონულ კონვენციას, სხვა ქვეყნების პროდუქტები, რომელთაც აქვთ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება როგორც საქართველოსთან, ისე ევროკავშირთან, ასევე იქნებიან ავტორიზებული. ეს ნიშნავს, რომ კომპანიას, რომელიც გეგმავს საქართველოდან შევიდეს ექსპორტზე ევროკავშირის ბაზარზე, შეიძლება შემოიტანოს წარმოების საშუალებები ევროკავშირის სხვა ავტორიზებული ქვეყნებიდან და მაინც დააკმაყოფილოს წარმოშობის წესები.

3. პოტენციური წყარო ქვეყნები

3.1. ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმები

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ ქვეყნები, რომლებიც პოტენციურად დაინტერესდებიან სატარიფო სხვაობებით განპირობებული საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების ჩადებით საქართველოში, ჩვენ დავაჯგუფეთ ქვეყნები ევროკავშირის ბაზარზე წვდომის სტატუსის მიხედვით. ევროკავშირს აქვს სხვადასხვა ტიპის სავაჭრო შეთანხმებები სხვადასხვა ტიპის პარტნიორებთან:

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (Most Favoured Nation – MFN) შეთანხმება. MFN არის ტარიფების უმაღლესი დონე, რომელსაც ევროკავშირი იყენებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის როგორც წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებთან.
- ცალმხრივი სატარიფო შეღავათები. ეს შეღავათები გულისხმობს პრეფერენსების გენერალიზებულ სისტემას (Generalized System of Preferences – GSP) და ავტონომიურ სავაჭრო შეღავათებს. 2014 წლიდან ევროკავშირმა წარმოადგინა განახლებული GSP, რომელიც ეხება ქვეყნებს, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდება იგი. შედეგად, ბენეფიციართა რაოდენობა 177-დან 90-მდე შემცირდა. GSP-ის ყოფილი ბენეფიციარების უმრავლესობა კვლავ ისარგებლებს ევროკავშირის ბაზარზე შეღავათიანი წვდომით, თუმცა ამჯერად ალტერნატიული სავაჭრო შეთანხმებების მეშვეობით. 20 მაღალი და ზედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანამ დაასრულა პროგრამა და მათი სავაჭრო შეღავათები გაუქმდა. რამდენიმე სხვა ქვეყანა ბენეფიციართა სიიდან მოგვიანებით გამოირიცხა.² ამჟამად ამ ქვეყნებს უწევთ ევროკავშირთან ვაჭრობა MFN-ის ტარიფებით და აუცილებლად დაინტერესდებიან ევროკავშირის ბაზარზე უკეთესი წვდომის მოპოვებით.
- საპასუხო სატარიფო შეღავათები. საპასუხო მექანიზმები იღებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების, ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმებების, ასოცირების შესახებ შეთანხმებების და სხვ. ფორმებს. ამჟამად ევროკავშირს 50-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და კიდევ უფრო მეტი მოლაპარაკების პროცესშია.

ამგვარად, ევროკავშირის ბაზარზე არსებული სატარიფო პროტექციონიზმის დონის გათვალისწინებით, ქვეყნები შეიძლება დავაჯგუფოთ სამ მსხვილ კატეგორიად:

- MFN-ის ქვეყნები: ქვეყნები, რომელთაც არ აქვთ სატარიფო შეღავათები;
- GSP-ის ქვეყნები: ქვეყნები ნაწილობრივი სატარიფო შეღავათებით (სატარიფო ხაზის 66% არის გადასახადებისგან თავისუფალი)

² http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2016/january/tradoc_154180.pdf

- ტარიფებისგან თავისუფალი ქვეყნები: ქვეყნები, რომელთაც ცალმხრივი ან საპასუხო სატარიფო შეღავათების მეშვეობით აქვთ ტარიფებისგან თავისუფალი ან თითქმის თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე

ამ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ პირველ კატეგორიას – ქვეყნებს, რომელთაც არ აქვთ შეღავათიანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე. ამ ქვეყნებს აქვთ ყველაზე მაღალი ტარიფები. ნაწილობრივი შეღავათების მქონე ქვეყნები შეიძლება გავითვალისწინოთ მომდევნო კვლევაში.

ქვეყნების რაოდენობა თითოეულ კატეგორიაში შეიძლება შეიცვალოს. ზოგმა ქვეყანამ შეიძლება გააფორმოს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და, შესაბამისად, მიიღოს შეღავათიანი წვდომა, მაშინ, როდესაც სხვებმა შეიძლება ამოწურონ GSP-ის სქემა და დაკარგონ შეღავათიანი სტატუსი. ჩვენ განვიხილავთ ვითარებას 2016 წლის დასაწყისის მდგომარეობით.

3.2. ქვეყნების შერჩევა

ევროკავშირის სავაჭრო შეღავათების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით, ჩვენ განვსაზღვრეთ 33 ქვეყანა, რომელიც ამჟამად MFN-ის ტარიფებით ვაჭრობს ევროკავშირთან და, შესაბამისად, შეიძლება ყველაზე მეტად დაინტერესდეს სატარიფო სხვაობების შესაძლებლობებით:

- GSP-ის ყოფილი ბენეფიციარები: საუდის არაბეთი, კუვეიტი, ბაჰრეინი, ყატარი, არაბთა გაერთიანებული საამირო, ომანი, ბრუნეი დარუსალამი, მაკაო, არგენტინა, ბრაზილია, კუბა, ურუგვაი, ვენესუელა, ბელორუსეთი, რუსეთი, ყაზახეთი, გაბონი, ლიბია, მალაიზია, პალაუ, აზერბაიჯანი, ირანი, ჩინეთი, ეკვადორი, ტაილანდი, მალდივები³
- სხვა ქვეყნები: ავსტრალია, კანადა, ჰონკონგი, იაპონია, ახალი ზელანდია, სინგაპური, აშშ.⁴

ჩვენი მიზანია, აქცენტი გავაკეთოთ ყველაზე რეალისტურ წყარო ქვეყნებზე, რომლებიც შეიძლება გახდნენ პოტენციური ინვესტორები, რომლებიც საქართველოს გამოიყენებენ როგორც საექსპორტო პლატფორმას ევროკავშირის ბაზარზე წვდომისთვის, რასაც განაპირობებს უკეთესი სხვაობა ტარიფებს შორის და ბაზარზე უკეთესი წვდომა. შესაბამისად, შერჩევისთვის ვიყენებთ სამ კრიტერიუმს:

- უნდა ჰქონდეს გეოგრაფიული სიახლოვე საქართველოსთან, სასურველია განვითარებული ეკონომიკური კავშირებიც
- უნდა ჰქონდეს ეკონომიკის განვითარების საკმარისი დონე
- არ უნდა აწარმოებდეს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოლაპარაკებებს ევროკავშირთან

ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილება საშუალებას გვამძლევს, აქცენტი გავაკეთოთ იმ ქვეყნებზე, რომლებიც იცნობენ ქართულ ეკონომიკას, აქვთ შედარებით დაბალი ლოგისტიკური ხარჯები, თუ მოუწევთ ნახევარფაბრიკატებისა და კაპიტალური საქონლის მიწოდება, არიან მდიდრები და საკმარისად განვითარებული, რომ ინვესტიციები ჩადონ საზღვარგარეთ და ვერ მიიღებენ შეღავათიან წვდომას ევროკავშირის ბაზარზე უახლოს მომავალში.

³ http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-13-1187_en.htm;
http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2016/january/tradoc_154180.pdf

⁴ <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/>

ამ კრიტერიუმების საფუძველზე ჩვენ სია დავიყვანეთ რვა ქვეყანად. ესენია: **აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, კუვეიტი, რუსეთი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამირო.** ეს ქვეყნები შეიძლება მივიჩნიოთ პოტენციური ინვესტიციების ყველაზე იმედისმომცემ წყაროებად, რომელთაც, ტარიფების გადახდისთვის თავის არიდების მიზნით, ენდომებათ საქართველოში საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების ჩადება, რათა გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე.

ინვესტიციების იმედისმომცემი წყარო ქვეყნების დადგენის შემდეგ, მომდევნო ნაბიჯია იმედისმომცემი პროდუქტების დადგენა, რომელთა ტარიფებს შორის სხვაობა საქართველოსთან შედარებით წყარო ქვეყანაში ბევრად მაღალია და თან მათზე ევროკავშირის ბაზარზე მოქმედებს ლმობიერი წარმოშობის წესები. მოგვიანებით ამ პროდუქტებს მივუსადაგებთ პოტენციური წყარო ქვეყნების ექსპორტის პროფილებს და ექსპორტიორების წინაშე არსებულ არასატარიფო შეზღუდვებს საკუთარ ქვეყანასა თუ ევროკავშირში, რათა დავადგინოთ, რომელია ყველაზე იმედისმომცემი „ქვეყანა-პროდუქტის“ კომბინაცია საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის.

4. მაღალი სატარიფო სხვაობებისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტები

შესაფერისი პროდუქტები, რომელთაც აქვთ საქართველოში საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუ-ის პოტენციალი, ძირითადად, შეირჩა ექსპორტიორების წინაშე არსებული სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმებით განპირობებული დიდი სატარიფო სხვაობების მიხედვით ევროკავშირში საქართველოდან ან წარმოშობის ქვეყნიდან ექსპორტირების შემთხვევაში. ამიტომ ჩვენ დავალაგეთ პროდუქტები ჩვენ მიერ ზემოთ შერჩეული წყარო ქვეყნებისთვის დაწესებული MFN-ის სატარიფო განაკვეთების დონეების მიხედვით. საქართველოდან ამ პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირში გადასახადებისგან თავისუფალია. რამდენადაც მაღალია სატარიფო განაკვეთი ექსპორტზე პოტენციური ინვესტორის ქვეყნიდან, მით მეტია შესაძლებლობა, რომ ის საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციას ჩადებს საქართველოში ამ პროდუქტების წარმოებისთვის. ჩვენ ვითვალისწინებთ, რამდენად ლმობიერია პროდუქტების წარმოშობის წესების მოთხოვნებიც, რათა შესაძლებელი გახდეს რეალისტური მოცულობის ინვესტიციების ჩადება. ეს განსაკუთრებით ეხება სამრეწველო პროდუქტებს, რადგან ეს პროდუქტები ყველაზე კომპლექსურია და შეიძლება სჭირდებოდეს დიდი რაოდენობით წარმოების საშუალებები და კომპლექსური მიწოდების ჯაჭვები.

რა თქმა უნდა, ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება დამოკიდებულია პროდუქტისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფაქტორებზეც, როგორცაა, მაგალითად, ფასების კონკურენციის ინტენსიურობა, ტექნოლოგიების გადაცემა და წარმოების რამდენიმე სხვა ფაქტორი. ჩვენ ამ ნაშრომში აქცენტს ვაკეთებთ სატარიფო სხვაობებისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტების დადგენაზე. თუმცა ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ აღნიშნულ ნაშრომში განსაზღვრული პროდუქტების საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა უნდა დადასტურდეს თანმდევი ანალიზით. აღვნიშნავთ იმასაც, რომ განსაკუთრებით ძალიან დაბალი მარჟის მქონე საქონლის შემთხვევაში, აღნიშნულ ნაშრომში განსაზღვრულზე დაბალმა სატარიფო სხვაობებმა, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება წაახალისოს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი.

4.1 მეთოდოლოგია

ტარიფები განისაზღვრება ჰარმონიზებული სისტემის (Harmonised System – HS) 10-ციფრიანი კოდის მქონე პროდუქტების დეტალურ დონეზე (დაახლოებით 15,000 პროდუქტი). პოლიტიკის გამტარებელთათვის გასაგები რომ იყოს, ჩვენ ვიყენებთ ინდივიდუალური პროდუქტის მაქსიმალურ ტარიფს და საშუალო სატარიფო განაკვეთებს პროდუქტების ჯგუფებში ან ბევრად ზოგადი პროდუქტების კატეგორიებში, 6-ციფრიან HS-ის პროდუქტებს (ე.წ. HS-ის ქვესათაურებს, დაახლოებით 52,000 კოდი) ან ყველაზე ზოგად, 1-ციფრიან პროდუქტების კატეგორიებს (HS-ის განყოფილებები, 21 კოდი).

ჩვენ პროდუქტების ჯგუფებს ვალაგებთ სატარიფო განაკვეთების ზომების მიხედვით, რომლებიც, ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში, მოქმედებს ამ პროდუქტებზე უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის ფარგლებში, რომელიც გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად სასურველი სატარიფო განაკვეთებით. ჩვენ არ განვიხილავთ პროდუქტებს, რომელთა MFN-ის ტარიფები 5%-ზე ნაკლებია (ე.ი. ჯგუფში არ არის პროდუქტი, რომლის ტარიფიც 5%-ზე მაღალია), რაც არის მინიმალური ზღვარი. ამ პროდუქტებისთვის გამიზნული საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი არ არის შეუძლებელი, რადგან განსაკუთრებით დაბალი მარჟის მქონე საქონლის შემთხვევაში, დაბალ სატარიფო განაკვეთზე მოდის შესაძლო მოგების მარჟის შედარებით დიდი წილი. თუმცა ჩვენ გვინდა, ამ კვლევაში აქცენტი გავაკეთოთ ყველაზე იმედისმომცემ პროდუქტებზე ისე, რომ არ დაგვჭირდეს ტარიფების სენსიტიურობის ანალიზი ცალკეული პროდუქტისთვის.

ჩვენ არ განვიხილავთ არც იმ პროდუქტებს, რომელთა შემთხვევაშიც საქართველოს არ აქვს უპირობო გადასახადებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე. არსებობს გამონაკლისი შემთხვევა, კერძოდ, სატარიფო განაკვეთის კვოტა. კვოტები, როგორც წესი, შედარებით მკაცრია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქტის წარმოების მსხვილმასშტაბიანი ზრდა სწრაფად გამოიწვევს კვოტის ამოწურვას. DCFTA-ის ფარგლებში გვაქვს ერთი ასეთი პროდუქტი. ევროკავშირი სატარიფო განაკვეთის კვოტას აწესებს ნიორზე. გადასახადებისგან თავისუფალ მოცულობად განსაზღვრულია 220 ტონა. აღნიშნულ მოცულობაზე მეტის ექსპორტი ექვემდებარება იმპორტის გადასახადებს.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმ პროდუქტებს, რომლებზეც მოქმედებს *შესვლის ფასის* მოთხოვნები, რადგან ეს მოთხოვნები შედარებით ზომიერია იმ ქართული პროდუქტებისთვის, რომლებზეც მოქმედებს. არსებობს რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელზეც, DCFTA-ის ფარგლებში, ტარიფის ადვალური ნაწილი გაუქმდა, თუმცა მოქმედებს ცვლადი იმპორტის გადასახადი, თუ ექსპორტის ფასი ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ფასზე დაბალია. გარკვეული ბოსტნეული და ხილი, ყურძნის წვენი და ყურძენი ექვემდებარება ამ რეგულაციას.

მეტიც, ამჟამად საქართველოს ექსპორტზე ვერ გააქვს ზოგიერთი ცხოველური წარმოშობის პროდუქტი სურსათის უსაფრთხოების/ინსპექციის პრობლემების გამო. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ პროდუქტებს ჩვენი ანალიზიდან, რადგან ეს პრობლემები შეიძლება გადაიჭრას საშუალო პერიოდში. თუმცა ჩვენ ცალკე აღვნიშნავთ ასეთ პროდუქტებს, რადგან ევროკავშირის ბაზარზე წვდომის მისაღებად მათ სჭირდება დამატებითი ძალისხმევა საქართველოს მთავრობისა თუ პოტენციური ინვესტორებისგან.

რაც შეეხება პროდუქტებს, რომლებიც განისაზღვრა როგორც პოტენციური კანდიდატები საქართველოში საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის, ჩვენ ვაანალიზებთ DCFTA-ის ფარგლებში მოქმედ წარმოშობის წესებს. პირველ რიგში, ეს გვცხმარება, უკეთ გავარკვიოთ რა ტიპის ინვესტიციებისთვის უფრო მიმზიდველი იქნება ეს პროდუქტები: სრული წარმოება ჯობია საქართველოში ან სხვა ავტორიზებულ ქვეყანაში თუ ინვესტორის ქვეყნიდან შემოტანილი

წარმოების საშუალებების გამოყენება. შემდეგ ჩვენ ვარჩევთ პროდუქტებს, რომელთა წარმოების წესები შედარებით ადვილი დასაკმაყოფილებელია.

წარმოების წესები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: (1) არსებობს პროდუქტები, რომლებიც მთლიანად უნდა იწარმოებოდეს საქართველოში, რათა ისარგებლოს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომით ევროკავშირის ბაზარზე. ეს მოთხოვნა, როგორც წესი, ეხება სასოფლო-სამეურნეო და საკვებ პროდუქტებს, (2) არსებობს პროდუქტები, რომლებიც საკმარისად უნდა იყოს დამუშავებული საქართველოში, რომ დააკმაყოფილოს წარმოების წესების მოთხოვნები. ამისთვის შეიძლება საჭირო იყოს სხვადასხვა HS-ის სათაური წარმოების საშუალებებისა და საბოლოო პროდუქტებისთვის, „უცხოური“ წარმოების საშუალებების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა პროდუქტის ფასში, წარმოების პროცესში ნებადართული „უცხოური“ წარმოების საშუალებების კონკრეტული ტიპების დადგენა და სხვ.


აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ ერთმანეთისგან განვასხვავებთ პროდუქტებს, რომლებიც „მთლიანად წარმოებული“ უნდა იყოს საქართველოში და პროდუქტებს, რომლებიც საჭიროებს „საკმარის გადამუშავებას“. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ იმ პროდუქტებზე, რომელთათვისაც არ არის დაწესებული „უცხოური“ მასალების მინიმალური რაოდენობა. ვინაიდან ეს ძირითადად ეხება სამრეწველო პროდუქტებს და აწესებს მკაცრ შეზღუდვებს წარმოების პროცესში გამოყენებულ ევროკავშირის არაწევრ და არაქართულ წარმოების საშუალებებზე, ინვესტორს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნიდან ძალიან გაუჭირდება წარმოების საშუალებებთან დაკავშირებული მაქსიმალური რაოდენობის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. ვინაიდან ძირითადად „მთლიანად წარმოებული“ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო ან საკვები პროდუქტები, ჩვენ არ გამოვრიცხავთ მათ, რადგან წარმოების პროცესი ძირითადად გეოგრაფიულად კონცენტრირებული და ნაკლებად კომპლექსურია, სამრეწველო პროდუქტებთან შედარებით. ამიტომ ჩვენ ვუშვებთ, რომ ინვესტორები მზად იქნებიან, შემოიტანონ ტექნოლოგიები და საქართველოში დანერგონ ამ პროდუქტების წარმოების მთელი პროცესი.

4.2 შედეგები

ჩვენ განვსაზღვრეთ **1394 სპეციალური** კატეგორია (5205-დან), სპეციალური პროდუქტების კატეგორიიდან HS-ის 6-ციფრიან დონეზე **14** ფართო კატეგორიის ფარგლებში (21-დან) HS-ის 1-ციფრიან დონეზე, რომელთაც აქვთ MFN-ის 5%-ზე მაღალი ტარიფი და ლმობიერი წარმოების წესები. ამ პროდუქტებისთვის საქართველოს აქვს გადასახადებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე.

გრაფიკი #3

ევროკავშირის MFN-ის მაქსიმალური და საშუალო ტარიფები




წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები

არსებობს პროდუქტების ორი სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა სატარიფო ბარიერებით: სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქტები დაცულია მაღალი ტარიფებით საზღვრებს შიგნით. სამრეწველო პროდუქტებს საშუალოდ უფრო დაბალი ტარიფები აქვთ, თუმცა ზოგიერთ პროდუქტს აქვს ძალიან მაღალი ტარიფი. ვინაიდან წარმოშობის წესები ამ ორი ჯგუფისთვის განსხვავებულია, ჩვენ მათ ცალ-ცალკე ვაფასებთ.

გრაფიკი #4

პროდუქტების ფართო კატეგორიები: სატარიფო განაკვეთის სიხშირეები, სატარიფო ხაზების % HS-ის 1-ციფრიან დონეზე



წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები

პროდუქტების ფართო კატეგორიების ტარიფების სტრუქტურის ანალიზმა დაადასტურა დასკვნა, რომ სატარიფო პიკები ბევრად უფრო დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტებისთვის: სასოფლო სამეურნეო პროდუქტების 19%-ს და სამრეწველო პროდუქტების 58%-ს აქვს 5%-ზე დაბალი ტარიფები. მეტიც, შავი ლითონების, მანქანა-დანადგარების, ხელსაწყოებისა და აპარატების შემთხვევაში, 5%-ზე დაბალი ტარიფების წილი 90%-ს აღწევს.

სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტები

სატარიფო სხვაობის მიდგომაზე დაყრდნობით, სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირში შეიძლება პოტენციურად საინტერესო იყოს ინვესტორებისთვის. ყველაზე მაღალი ტარიფები დაწესებულია პირველად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომელთა შემთხვევაშიც საქართველოს აქვს პროდუქტიულობის ზრდის უზარმაზარი პოტენციალი.

ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს აქვს ყველაზე მაღალი საშუალო ტარიფები (23%), რაც მათ განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის საექსპორტო პლატფორმის საჭირო ინვესტიციებისთვის. თუმცა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე შეტანისთვის საქართველომ უნდა შეიმუშაოს სურსათის უსაფრთხოების სისტემა და ინვესტიციები ჩადოს შესაბამის ინფრასტრუქტურაში. სულ მცირე რამდენიმე წელი დასჭირდება ევროკავშირის ბაზარზე შესვლისთვის საჭირო ავტორიზაციის მიღებას. აღსანიშნავია, რომ ავტორიზებული უნდა იყოს არა მხოლოდ სახელმწიფო სისტემა, არამედ ინდივიდუალური კომპანიებიც, რომელთაც მოუწევთ საკმაოდ ჩახლართული ვერიფიკაციის პროცედურების გავლა.

მზა საკვები პროდუქტების ტარიფებიც ძალიან მაღალია, სადაც სატარიფო ხაზების 80%-ზე მეტს აქვს 5%-ზე მაღალი სატარიფო განაკვეთი. საშუალო ტარიფი აქ 20%-ია. საინვესტიციო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციები შეიძლება მიმზიდველი იყოს ბოსტნეულის, ხილისა და თხილის მომზადებაში, ცხოველების საკვებისა და ხორცის გადამამუშავებაში.

სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების უმრავლესობისთვის წარმოშობის წესები მოითხოვს, რომ მასალა „მთლიანად წარმოებული“ იყოს საქართველოში. ამგვარად, საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციები სოფლის მეურნეობისა და სურსათის სექტორში შეიძლება ძირითადად საინტერესო იყოს კომპანიებისთვის, რომელთა უმთავრესი შედარებითი უპირატესობა არის ნოუჰაუ. ასეთი კომპანიები წარმოების პროცესს მთლიანად საქართველოში ააწყობენ.

რომ შევაჯამოთ, სასოფლო-სამეურნეო და სურსათის მრეწველობის პროდუქტებს იცავს ყველაზე მაღალი ტარიფები ევროკავშირში და ამგვარად წარმოადგენს კარგ პოტენციალს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის, თუ რამდენიმე წინაპირობა დაკმაყოფილდება. პირველ რიგში, პროდუქტების უმეტესობა მთლიანად უნდა იწარმოებოდეს საქართველოში ან უნდა იყენებდეს ისეთ წარმოების საშუალებებს, რომლებიც მთლიანად საქართველოშია წარმოებული. შესაბამისად, საინვესტიციო პროექტები უნდა დაიგეგმოს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და უნდა იყოს ეკონომიკურად განხორციელებადი. მეორე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის წვდომა ევროკავშირის ბაზარზე დახურულია ამ ეტაპზე, რადგან ქართული სურსათის უსაფრთხოების სისტემა ჯერ კიდევ არ არის ავტორიზებული ევროკავშირის მიერ, რომლის მიღებაც შესაძლებელია მხოლოდ საშუალო პერიოდში. ამიტომ ინვესტიციები მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში შეიძლება ბევრად მიმზიდველი იყოს მოკლევადიან პერიოდში.

სამრეწველო პროდუქტები

საშუალოდ, სამრეწველო პროდუქტებს ახასიათებს შედარებით დაბალი პროტექციონიზმი და ცოტა და ზომიერი სატარიფო პიკები სასოფლო-სამეურნეო და საკვებ პროდუქტებთან შედარებით. ამიტომ აქ გვაქვს დიდი სატარიფო სხვაობების სულ რამდენიმე შემთხვევა. და მაინც, ბევრ სექტორშია საინტერესო შესაძლებლობები, გამონაკლისია ხის ბურბუშელის, ქალაღის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების წარმოება. წარმოშობის წესების მკაცრი მოთხოვნები გამორიცხავს გარკვეულ სამრეწველო პროდუქტებს, მათ შორის მანქანების მშენებლობისთვის საჭირო მასალების უმეტესობას.

სატარიფო სხვაობებით განპირობებული ყველაზე მიმზიდველი პოტენციალი საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუისთვის შეიძლება ვეძიოთ ფეხსაცმლის, თავსაბურავების (ქუდები, კეპები) და სხვა ტანსაცმლის წარმოებაში, ტექსტილის მრეწველობაში, ქიმიური მრეწველობის შერჩეულ პროდუქტებში და არალითონის მინერალური პროდუქტების წარმოებაში, როგორცაა კერამიკა და მინა.

ტექსტილის მრეწველობის პროდუქტებს ახასიათებს ყველაზე მაღალი საშუალო ტარიფი (7%), სადაც სატარიფო ხაზების 75%-ზე მეტი განლაგებულია 5%-იან ზღვარს ზემოთ. ინვესტიციები ტანსაცმლისა და აქსესუარების წარმოებაში განსაკუთრებით მიმზიდველია საქართველოში, თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმოშობის წესების მოთხოვნები საკმაოდ ლმობიერია. ტექსტილის პროდუქტების უმეტესობისთვის წარმოშობის წესები განაპირობებს, რომ ნებადართული იმპორტირებული წარმოების საშუალებები არის ქვედა ეტაპის დამამუშავებელი წარმოების საშუალებები, როგორცაა ბოჭკო, ნართი და სხვ. ეს იძლევა საქართველოში რეალისტური

ინვესტიციის ჩადების შესაძლებლობას. და მართლაც, აღმავალი ტექსტილის მრეწველობა, რომელსაც ძირითადად თურქული ინვესტიციები განაპირობებს, უკვე არსებობს აჭარის რეგიონში.

ქიმიური მრეწველობის შერჩეული პროდუქტები, როგორცაა დექსტრინი და სხვა დამუშავებული სახამებლები და წებოებიც გამოირჩევიან შედარებით მაღალი სატარიფო პროტექციონიზმით და ლმობიერი წარმოშობის წესებით. ფეხსაცმლის წარმოებაც შეიძლება ძალიან მიმზიდველი იყოს შესაბამისი სხვაობების გათვალისწინებით ტარიფებს შორის. მაქსიმალური ტარიფი არის 17% და სატარიფო ხაზების დაახლოებით ორ მესამედს ამ ჯგუფში აქვს ტარიფი 5%-იან ზღვარს ზემოთ. წარმოშობის წესები განსაკუთრებით მიმზიდველია ამ ტიპის პროდუქტებისთვის, რაც ნებისმიერი წარმოების საშუალების გამოყენების საშუალებას იძლევა. გამოწვეულია ცალკეული კომპონენტებისგან აწყობა. კერამიკისა და მინის ნაწარმი წარმოადგენს სამრეწველო პროდუქტების მეოთხე ჯგუფს, რომელთაც საკმაოდ მაღალი სატარიფო სხვაობები აქვს. ამ პროდუქტების სატარიფო პიკი 12%-ს აღწევს. წარმოშობის წესები კი, ზოგადად, მოითხოვს მხოლოდ საკმარის დამუშავებას (ე.ი. HS-ის სათაურის შეცვლას).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამრეწველო პროდუქტები იძლევა შედარებით ნაკლებ შესაძლებლობას სატარიფო სხვაობებით განპირობებული საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის. თუმცა საინტერესო გამოწვევები მაინც გვაქვს, განსაკუთრებით ტექსტილის, ფეხსაცმლისა და ქიმიურ მრეწველობაში, ისევე, როგორც კერამიკული და მინის ნაწარმის წარმოებაში.

5. ექსპორტიორების წინაშე არსებული არასატარიფო ბარიერები

ევროკავშირთან ვაჭრობის მსურველი ექსპორტიორებისთვის საკუთარი ქვეყნის მიერ დაწესებული არასატარიფო ბარიერების გადალახვა შეიძლება გახდეს საქართველოში საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციების ჩადების დამატებითი სტიმული. პრინციპში, არასატარიფო ბარიერების არსებობა უკვე შეიძლება იყოს საკმარისი მოტივაცია საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებისთვის, თუ ეს ბარიერები საკმარისად მაღალია. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ არასატარიფო ბარიერებს როგორც სატარიფო სხვაობების დამატებით ფაქტორს, რაც აძლიერებს ინვესტორთა მოტივაციას „თავი აარიდონ“ სავაჭრო ბარიერებს და დანერგონ წარმოების პროცესი ქვეყანაში, რომელსაც აქვს ყველაზე ტოლერანტული ექსპორტის რეგულაციები.

ჩვენ ვაანალიზებთ პოტენციური წყარო ქვეყნებისა და ევროკავშირის მიერ გამოყენებულ არასატარიფო ბარიერებს. კერძოდ, ჩვენ ვითვალისწინებთ პოტენციური წყარო ქვეყნების ექსპორტის ისეთ რეგულაციებს, როგორცაა კვოტები, ლიცენზიები, ნებართვები და მოსაკრებლები⁵. ჩვენ მიერ გაანალიზებული ევროკავშირის იმპორტის რეგულაციები მოიცავს სატარიფო განაკვეთების კვოტებს⁶, ანტიდემპინგურ და ანტი-სუბსიდიურ ზომებს (ე.წ. სავაჭრო შეზღუდვებს)⁷ და ავტორიზაციას ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის⁸.

⁵ ამ ანალიზში არ ვითვალისწინებთ ექსპორტის აკრძალვებს, რადგან ვუშვებთ, რომ ქვეყნებს, რომლებიც არ ეწევიან პროდუქტების ექსპორტს, არ ექნებათ საკმარისი გამოცდილება, ინვესტიცია ჩადონ ამ პროდუქტების საზღვარგარეთ წარმოებაში

⁶ https://docs.wto.org/dol2fe/Pages/FE_Search/.../q/G/AG/NEU24.pdf

⁷ <http://trade.ec.europa.eu/tdi/completed.cfm>

⁸ https://webgate.ec.europa.eu/sanco/traces/output/non_eu_listsPerCountry_en.htm#

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA არ გულისხმობს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაზე არავითარი არასატარიფო ბარიერები არ მოქმედებს. მაგალითად, პროდუქტების უსაფრთხოების მოთხოვნები ევროკავშირის ბაზარზე მკაცრია. DCFTA-ის განხორციელება წარმატებით დასრულდება მას შემდეგ, რაც ევროკავშირსა და საქართველოს ექნებათ ერთნაირი პროდუქტების უსაფრთხოების სისტემა (თუნდაც რამდენიმე პროდუქტისთვის) და ევროკავშირი ქართულ სისტემას სცნობს როგორც თანასწორს. შემდეგ მწარმოებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს შიდა მოთხოვნებს, აკმაყოფილებენ ევროკავშირის მოთხოვნებს ისე, რომ აღარ არის საჭირო დამატებითი შემოწმებები ექსპორტირებისას. ეს ქართველი მწარმოებლებისთვის იქნება შედარებითი უპირატესობა, რადგან მათ ექნებათ სტანდარტებისა და შემოწმების ერთი მთლიანი სისტემა, რათა დააკმაყოფილონ და მოემსახურონ როგორც შიდა, ისე ევროკავშირის ბაზრებს.

ამავდროულად, DCFTA არ ცვლის ევროკავშირის პროდუქტის უსაფრთხოების რეგულაციებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ექსპორტიორმა, რომელიც შედის ევროკავშირის ბაზარზე. პროდუქტის უსაფრთხოების სისტემა არ ცვლის წარმოების ადგილს – იგივე რეგულაციები მოქმედებს, თუ ინვესტორი აწარმოებს საკუთარ ქვეყანაში ან საქართველოში. ამიტომ ჩვენ არ განვიხილავთ პროდუქტის უსაფრთხოების რეგულაციებს როგორც არასატარიფო ბარიერებს, რომელიც შეიძლება გადალახოს ინვესტორმა საექსპორტო პლატფორმაში ინვესტიციების ჩადებით.

ერთადერთი გამონაკლისი დაიშვება სურსათის უსაფრთხოების სისტემაზე ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის. ამ სისტემის დანახარჯები ბევრად აღემატება პროდუქტის უსაფრთხოების სხვა სისტემებს, რადგან ის ეხება არამხოლოდ კონკრეტულ პროდუქტს ან პროცესს, არამედ ეროვნული კონტროლის მთელ სისტემას, რომელიც უნდა იყოს ავტორიზებული. ამიტომ ჩვენ ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წვდომას ევროკავშირის ბაზარზე განვიხილავთ როგორც საქართველოს მომავალ უპირატესობას, რომელიც შეიძლება წახალისდეს, როგორც კი საქართველო დაასრულებს სურსათის უსაფრთხოების სისტემის რეფორმას და შესაბამისობის პროცესს.

ცხრილი #2

ექსპორტიორების წინაშე არსებული არასატარიფო ბარიერების მიმოხილვა პოტენციურ წყარო ქვეყნებში და ევროკავშირის ბაზრებზე

ქვეყანა	ექსპორტის რეგულაციები საკუთარ ქვეყანაში	ევროკავშირის რეგულაციები	იმპორტის
აზერბაიჯანი ⁹	ექსპორტის აკრძალვა: ლითონის ჯართი გადასახადი ექსპორტზე ¹⁰ შერჩეულ ლითონებსა და მათ პროდუქციაზე ექსპორტის ნებართვა: იარაღი, ბირთვული მასალები, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ქიმიური ტოქსინები და სხვ. ექსპორტის ხელშეკრულების რეგისტრაცია: გარეული ცხოველები და მცენარეები, ზოგიერთი სამედიცინო ინგრედიენტი, ხელოვნების ნიმუშები, ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებები და პროდუქტები ექსპორტის ლიცენზია: ეთანოლი, თამბაქოს პროდუქტები, პრეკურსორები, ზოგიერთი სპეციალური ორმაგი დანიშნულების აღჭურვილობა	ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული მეთევზეობის პროდუქტების ექსპორტიორები ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: ზომები არ არსებობს გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.	
ჩინეთი ¹¹	ექსპორტის აკრძალვები: მორალის, გარემოს,	ევროკავშირის ბაზარზე წვდომა	

⁹ <http://www.cis.minsk.by/page.php?id=18166>

¹⁰ <http://www.az-customs.net/rus/4658.htm>

ქვეყანა	ექსპორტის რეგულაციები საკუთარ ქვეყანაში	ევროკავშირის რეგულაციები	იმპორტის
	<p>ჯანმრთელობის, ბუნებრივად ამოწურვადი რესურსების დაცვასთან დაკავშირებული პროდუქტები</p> <p>ექსპორტის კვოტები: ბრინჯი, სიმინდი, ხორბალი, ბამბა, ნახშირი, ფქვილები; დამუშავებული მერქანი, კოქსი, ნედლი ნავთობი, დამუშავებული ზეთი; შერჩეული მინერალური პროდუქტები, ტალკი (ფხვნილი); ძირტკბილა, სხვ.</p> <p>ექსპორტის ლიცენზია: ხორცი; პარაფინი; პლატინა; ავტომობილები; მოტოციკლები; C ვიტამინი; პენიცილინის სამრეწველო მარილი; დინატრიუმის სულფატი; კოქსი; კარბორინდი; ალუმინის მადანი; ჰალოიდური მინერალი; ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებები; ბუნებრივი ქვიშები; მოლიბდენის პროდუქტები, ლიმონმჟავა, სხვ.</p> <p>გადასახადი ექსპორტზე: თევზი, მინერალური პროდუქტები და საწვავი, ქიმიური პროდუქტები, სასუქები, ტყავი, ხის მასალა, ლითონები</p>	<p>ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული ფრინველის, ხორცის, თევზეულის, კვერცხის, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: მოქმედებს 61 საზომი, შედის ქიმიური პროდუქტები, ლითონის პროდუქტები, მინისა და კერამიკული პროდუქტები, მავთული, მზის პანელები, სხვ.</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>	
ირანი ¹²	<p>ექსპორტის აკრძალვები: ხორბალი, ფქვილი, გადაუმუშავებელი შაქარი, წითელი ხორცი, ქერი, სოიოს მარცვლების ნამცხვარი, მცენარეული ზეთები, კარაქი, საჭმელი ზეთი, პირუტყვი, ტყავი, საჭმელი სოდა, ნატრიუმის კარბონატი, შეშა, ნახშირი და ვინილის აცეტატი მონომერი</p> <p>გადასახადი ექსპორტზე:¹³ რკინის საბადო</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული თევზის პროდუქტების, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>	
ყაზახეთი ¹⁴	<p>ექსპორტის აკრძალვები: ხე, ხის მასალა, გარკვეული ხის პროდუქტები, მრავალჯერადი ქაღალდი, მუყაო, ნედლეული ქაღალდის მასალები და ქაღალდი</p> <p>გადასახადი ექსპორტზე: პირუტყვის ტყავი და მატყლი, შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენები, ნავთობ-პროდუქტები</p> <p>ექსპორტის ლიცენზიები: სახიფათო ნარჩენები, ნარკოტიკები; გარეული ცხოველები და მცენარეები; გადაშენების პირას მყოფი სახეობები, ძვირფასი ლითონები და ქვები; მინერალური ნედლეული; ტოქსიკური ნივთიერებები და სხვ.</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული ფრინველის, ხორცის, თევზეულის, კვერცხის, გარსების ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები</p> <p>გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.</p>	
კუვეიტი ¹⁵	<p>ექსპორტის აკრძალვები: ხორბლის ფქვილი, იარაღი, ცოცხალი ცხვარი და თხა, სიმინდი, ქერი, ქატი, თევზი, ზოგიერთი ლითონი, მავთულები, ბრინჯი, შაქარი, მზესუმზირის ზეთი, რძე და ნაღები, პომიდორი, სხვ.</p> <p>ექსპორტის ლიცენზირება: სურსათისა და სოფლის მეურნეობის, პლასტმასის ნარჩენების, ფერადი</p>	<p>ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: არ ჰყავს ავტორიზებული ექსპორტიორები</p> <p>ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური:</p>	

¹¹ https://www.wto.org/english/tratop_e/tp400_e.htm

¹² <http://www.iran-daily.com/News/120574.html>

¹³ http://www.metalex.ru/news/2014/04/01/news_49119.html

¹⁴ https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/completeacc_e.htm#kaz; http://www.tsouz.ru/db/entr/norm-prav-doc/ediniy_perechen/Pages/default.aspx

¹⁵ https://www.wto.org/english/tratop_e/tp358_e.htm

ქვეყანა	ექსპორტის რეგულაციები საკუთარ ქვეყანაში	ევროკავშირის რეგულაციები	იმპორტის
	ლითონების ნარჩენები და ჯართი, ზეთები, სხვ.	არავითარი ზომები გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.	
რუსეთი ¹⁶	ექსპორტის აკრძალვები: ხე, ხის მასალა, გარკვეული ხის პროდუქტები, მრავალჯერადი ქაღალდი, მუყაო, ნედლეული ქაღალდის მასალები და ქაღალდის ნარჩენები გადასახადი ექსპორტზე: თევზი, ხორბალი, სოიო, მზესუმზირა, მინერალური პროდუქტები და საწვავი, ტყავი, ხე და ხის მასალა, ლითონები და ჯართი, რკინიგზის მოწყობილობების ნაწილები ექსპორტის კვოტები: ლითონის ჯართი	ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული ფრინველის, ფერმის ხორცის, ხორცის პროდუქტების, თევზის პროდუქტების, რძის პროდუქტების, კოლაგენის, გარსების ექსპორტიორები ანტი-დემპინგური: ფოლადი, მილები, ფერო-შენადნობები გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.	
საუდის არაბეთი ¹⁷	ექსპორტის აკრძალვები: პირუტყვი და ცხენები, ცხოველების საკვები (მაგ.: ქერი), ფრინველის საკვები (მაგ.: ყვითელი სიმინდი და სოიო), სხვ. ექსპორტის ლიცენზირება: ცხენები, ხორბალი, ქერი, სიმინდი, სოიო, ხორბლის ფქვილი, შერჩეული მინერალური პროდუქტები, წამლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სხვ	ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული თევზის პროდუქტების ექსპორტიორები ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.	
არაბთა გაერთიანებული საამირო ¹⁸	ექსპორტის აკრძალვა: ფსიქოტროპული ნივთიერებები; გადაშენების პირას მყოფი სახეობები; მუსლიმური კულტურისთვის შეურაცხმყოფელი ნივთები; კორუფციისა და განუკითხაობის გამომწვევი ნივთები; დასხივებული საკვები პროდუქტები ექსპორტის ლიცენზირება: ორმაგი დანიშნულების ნივთები, შერჩეული ქიმიკატები, გადაშენების პირას მყოფი სახეობები, თავდაცვისა და ბირთვული მასალები, საწვავი, ნარკოტიკები და სამედიცინო მოწყობილობები ექსპორტის SPS სერთიფიკატი: ხორცი, მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული და საზღვაო საქონელი გადასახადი ექსპორტზე ფოლადის ჯართზე	ევროკავშირის ბაზარზე წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტიორებისთვის: ავტორიზებული არიან მხოლოდ შერჩეული თევზის პროდუქტების ექსპორტიორები ანტი-დემპინგური/ანტი-სუბსიდიური: არავითარი ზომები გლობალური სატარიფო განაკვეთის კვოტები ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, სხვ.	

წყარო: WTO, EAEU

როგორც ცხრილი #2-დან ჩანს, ექსპორტის რეგულაციები შედარებით ფართოდ გავრცელებული და ვრცელია პოტენციურ წყარო ქვეყნებში, რაც ქმნის არასატარიფო ბარიერებით განპირობებული საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის პოტენციალს. ექსპორტის გადასახადები

¹⁶ http://www.tsouz.ru/db/entr/norm-prav-doc/ediniy_perechen/Pages/default.aspx;

https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/completeacc_e.htm#rus

¹⁷ https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp433_e.htm

¹⁸ https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp362_e.htm

განსაკუთრებით გავრცელებულია, მას აქტიურად იყენებენ ჩინეთი, რუსეთი და ყაზახეთი, შედარებით ნაკლებად აზერბაიჯანი და არაბთა გაერთიანებული საამირო. აღსანიშნავია, რომ ასეთი ზომების უმეტესობა მოდის მინერალურ პროდუქტებზე, ქიმიკატებსა და ლითონებზე, რომლებიც არ შედის მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების სიაში. გარდა ამისა, არავითარი შეზღუდვები არ მოქმედებს ტექსტილისა და ფეხსაცმლის ექსპორტზე, რომელთაც აქვთ ყველაზე მაღალი სხვაობა ტარიფებს შორის სამრეწველო პროდუქტებში. ამავდროულად, ზოგიერთი ქვეყანა ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების ექსპორტს, რომლებსაც აქვს გადასახადებისთვის თავის არიდების პოტენციალი.

ევროკავშირის იმპორტის რეგულაციების უმეტესობა ეხება სოფლის მეურნეობასა და სურსათის მრეწველობას. აღსანიშნავი გამონაკლისებია ანტიდემპინგური და ანტი-სუბსიდიური ზომები სამრეწველო პროდუქტებზე. ეს შეზღუდვები ეხება სიის ორ ქვეყანას: რუსეთსა და ჩინეთს.

დაბოლოს, შერჩეული პოტენციური წყარო ქვეყნების უმეტესობისთვის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტები ქმნის კატეგორიას, რომელსაც ახასიათებს როგორც მაღალი ტარიფები ისე არასატარიფო პროტექციონიზმი.


6. წყარო ქვეყნები-პროდუქტის კომბინაციები

საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის ყველაზე იმედისმომცემი ქვეყანა-პროდუქტის კომბინაციების განსაზღვრისთვის, ჩვენ თავდაპირველად გავაანალიზეთ პოტენციური წყარო ქვეყნების ექსპორტის პორტფოლიოები. თუ ეს ქვეყნები მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტებით ამარაგებენ დანარჩენ მსოფლიოს, და არა ევროკავშირს, ეს უკვე მიგვანიშნებს, რომ მწარმოებლები ამ ქვეყნებიდან შეიძლება ძალიან კარგად აწარმოებდნენ ამ პროდუქტებს, მაგრამ ტარიფები და არასატარიფო ბარიერები შეიძლება ხელს უშლიდეთ, კონკურენცია გაუწიონ ევროკავშირის ბაზრის ექსპორტიორებს. ეს შეიძლება იყოს ძალიან ძლიერი მოტივაცია საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის.

გრაფიკი #5 აჩვენებს, რომ ყველაზე პოტენციური პუი-ის წყარო ქვეყნები, რომლებსაც აქ განვიხილავთ, უკვე აწარმოებენ და ექსპორტზე გააქვთ რამდენიმე მაღალი სატარიფო სხვაობის მქონე პროდუქტი. მასშტაბი, რომლითაც ამ ქვეყნებს ზემოთ აღნიშნული საქონელი გააქვთ ევროკავშირში, არის შეზღუდული. მაგალითად, აზერბაიჯანს ამ საქონლის მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 10% გააქვს ევროკავშირში, რუსეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროსთვის ეს მაჩვენებელი 40-50% შორის მერყეობს, ჩინეთის შემთხვევაში კი 70%-ზე მეტია. მეტიც, ამ ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადის ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ბაზრებზე. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის ბაზრის მაღალი სავაჭრო ბარიერები ზღუდავენ ამ ქვეყნებს, ექსპორტზე შევიდნენ ევროკავშირში.

გრაფიკი #5

პოტენციური წყარო ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურა, შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი კატეგორიების %



შენიშვნა: * მოქმედებს ბარიერი 100 ათასი აშშ დოლარის ოდენობით

წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები

ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არის ჩინეთი. მონაცემები ცხადყოფს, რომ ჩინეთს აქვს ძალიან მჭიდრო კავშირები ევროკავშირთან, როდესაც საქმე ეხება მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების უმეტესობის ექსპორტს. თუმცა ეს დაკვირვება ეფუძნება 2014 წლის ექსპორტის მონაცემებს, როდესაც ჩინეთი ჯერ კიდევ იყო GSP-ის ბენეფიციარი. 2015 წლის 1 იანვრიდან ჩინეთი ვეღარ ისარგებლებს ამ პროგრამით და მოუწევს საკუთარი პროდუქტების MFN-ის ტარიფებით შეტანა ევროკავშირში. ტარიფების პროტექციონიზმის ზრდამ, რის წინაშეც ჩინელი ექსპორტიორები არიან ევროკავშირის ბაზარზე, უნდა მისცეს ბიძგი საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო ინვესტიციებს.

შერჩეული რვავე ქვეყნისთვის ცხრილი #3 აჩვენებს, პროდუქტების თითოეული ფართო კატეგორიიდან მაღალი სატარიფო სხვაობის მქონე რამდენი პროდუქტი შედის ამჟამად ექსპორტზე ექსკლუზიურად ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში. ამ რვა ქვეყნიდან რუსეთი და საუდის არაბეთი ეწევა მაღალი პოტენციალის მქონე პროდუქტების ყველაზე მრავალფეროვან ექსპორტს ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში. აზერბაიჯანს აქვს პოტენციური პროდუქტების ყველაზე მცირე სია.

ცხრილი #3

მაღალი სატარიფო სხვაობებისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში, ექსკლუზიურად ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში ექსპორტირებული პროდუქტების წინასწარ შერჩეული HS-ის 6-ციფრიანი კატეგორიების რაოდენობა

	HS-ის 6- ციფრიანი დონის #	ჩინ. 2014	აზ. 2014	ირ. 2011	ყაზ. 2014	კუვ. 2014	სა. 2014	აგს 2014	რუს. 2014
I ცხოველური წარმოშობის პროდუქტები	279	11	6	38	42	36	64	51	100
II ბოსტნეული პროდუქტები	160	30	10	39	32	23	66	26	54
III ცხოველური ან მცენარეული ცხიმები და ზეთები	38	3	6	8	10	8	16	16	10
IV შხა საკვები პროდუქტები	169	19	22	43	50	38	67	64	98
VI ქიმიური მრეწველობის პროდუქტები	23	4	0	1	0	0	2	2	11
VII პლასტმასი, რეზინი	11	0	0	1	2	0	1	2	7
VIII ნედლეული ტყავი	19	6	2	6	6	3	0	3	7
IX ხე და ხის ნაწარმი	18	1	0	2	3	2	10	5	2
XI ტექსტილი და მისი ნაწარმი	577	19	6	83	54	72	119	113	242
XII ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები	24	0	0	12	8	10	15	8	7
XIII ქვის, თაბაშირისა და მინის ნაწარმი	34	0	1	15	4	12	18	8	8
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	30	1	0	1	5	5	2	2	10
XVII ავტომობილები, თვითმფრინავები, გემები	3	0	0	0	2	1	2	0	2
XX სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტები	9	0	0	1	1	2	1	3	4
ჯამი	1394	94	53	250	219	212	383	303	562

შენიშვნები: * მოქმედებს ბარიერი 100 ათასი აშშ დოლარის ოდენობით; ** საუდის არაბეთის ექსპორტი ევროკავშირში დათვლილია ევროკავშირის საუდის არაბეთიდან იმპორტის სარკისებური სტატისტიკის გამოყენებით.

წყარო: WITS, ავტორების გამოთვლები

საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის დადგენილი სატარიფო ხაზების ზუსტი სია აქ განხილული რვა წყარო ქვეყნიდან წარმოდგენილი იქნება მომავალ ტექნიკურ შენიშვნებში. ეს გულისხმობს დიდი რაოდენობით ინდივიდუალურ სატარიფო ხაზებს, რადგან პირველ ეტაპზე განისაზღვრა 1394 პროდუქტი HS-ის 6-ციფრიან დონეზე. მაგრამ პოტენციური ინვესტორების მიზანმიმართული ძებნისა და მათთან კომუნიკაციისას, როგორც რეკომენდირებულია ინდივიდუალური სატარიფო ხაზების დონეზე გაწერილ მოთხოვნებში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინვესტორის წინაშე არსებული სატარიფო სხვაობები და წარმოების კომპეტენცია ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს. შესაბამისად, ჩვენ მიერ ქვეყნების მიხედვით შერჩეული ყველაზე საინტერესო წყარო-ქვეყნის კომბინაციებია:

აზერბაიჯანი: შაქარი, მცენარეული ზეთები, შერჩეული ახალი ბოსტნეული და ხილი არის ყველაზე იმედისმომცემი სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტები. სამრეწველო პროდუქტებს შორის აღსანიშნავია ჩანთები, ტყავის პროდუქტები და ტექსტილი.

ჩინეთი: ხორცს, რძის პროდუქტებს, ზოგიერთ ბოსტნეულსა და ეთილის სპირტს აქვს ყველაზე საუკეთესო კომბინაცია სასოფლო-სამეურნეო და საკვებ პროდუქტებს შორის. სამრეწველო პროდუქტებს შორის ტექსტილი, ტყავის პროდუქტები და ზოგიერთი ქიმიკატი არის ყველაზე იმედისმომცემი კანდიდატი. გარდა ამისა, ჩინეთს აქვს უამრავი ანტი-დემპინგური ზომები ევროკავშირში, რამაც შეიძლება წახალისოს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი, მაგალითად, ველოსიპედების და კერამიკის წარმოებაში.

ირანი: კიტრი, შაქარი და შერჩეული რძის პროდუქტები არის ყველაზე მიმზიდველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხოლო ფეხსაცმელი, ჭურჭელი, ხალიჩები, ტომრები, ჩანთები და კერამიკული ნიჟარები ყველაზე მიმზიდველია სამრეწველო პროდუქტებს შორის. არასატარიფო ბარიერები წარმოადგენს დამატებით მოტივს ინვესტიციებისთვის, რადგან ისინი მნიშვნელოვანია საკვები პროდუქტებისთვის, განსაკუთრებით რძის პროდუქტებისთვის.

ყაზახეთი: მარცვლეული და რძის პროდუქტები არის ყველაზე მიმზიდველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შორის. რძის პროდუქტებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის არსებობს არასატარიფო ბარიერები და შეიძლება რელევანტური იყოს, თუ საქართველო სწრაფად წაიწვეს წინ სურსათის უსაფრთხოების რეფორმების მიმართულებით. ფეხსაცმელი, სანიტარული პირსახოცები, ჭურჭელი, ტყავი და ტექსტილი არის ყველაზე მიმზიდველი სამრეწველო პროდუქტები.

კუვეიტი: რძის პროდუქტები და ფქვილები წარმოადგენს საუკეთესო კომბინაციას. ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების უმეტესობის ექსპორტისთვის საჭიროა ლიცენზია, ნებისმიერი საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი სოფლის მეურნეობასა და სურსათის მრეწველობაში შეიძლება მიმზიდველი იყოს. კარვები, მინის ბოჭკოს პროდუქტები და ზოგიერთი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი არის ყველაზე მიმზიდველი სამრეწველო პროდუქტები.

რუსეთი: ცხოველური წარმოშობის პროდუქტები არის ყველაზე მიმზიდველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხოლო ველოსიპედები, ტანსაცმელი, საბურავის ბოჭკოს ქსოვილი და ტექსტილის იატაკის საფარი არის ყველაზე მიმზიდველი სამრეწველო პროდუქტებს შორის. გადასახადი ექსპორტზე რუსეთში და ევროკავშირის სატარიფო განაკვეთების კვოტები ცხოველური პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო საექსპორტო პლატფორმის პუი-ის საკმაოდ მიმზიდველს ხდის, როგორც კი საქართველო შესთავაზებს მათ წვდომას ევროკავშირის ბაზარზე.

საუდის არაბეთი: წვენები, შაქარი და რძის პროდუქტები არის ყველაზე მიმზიდველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სხვადასხვა ტექსტილის პროდუქტები დომინირებს ყველაზე მიმზიდველი სამრეწველო პროდუქტების სიაში. რეგულაციები, რომლებიც ეხება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი მოტივაცია პუი-ისთვის საშუალოვადიან პერიოდში.

არაბთა გაერთიანებული საამირო: რძის პროდუქტები, ცხოველების კვებაში გამოყენებული პრეპარატები და ხორცი არის ყველაზე მიმზიდველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ხოლო ტანსაცმელი და იატაკის ფილები არის ყველაზე საინტერესო სამრეწველო პროდუქტები. რძის პროდუქტებისთვის ევროკავშირის სურსათის უსაფრთხოების რეგულაციები არის მნიშვნელოვანი არასატარიფო ბარიერი.

7. დასკვნები და რეკომენდაციები

წინამორბედი ანალიზი აჩვენებს, რომ ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA ზრდის საქართველოს პოტენციალს, ქვეყანაში შემოვიდეს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ განიცდის დიდ სავაჭრო დეფიციტს და მიუხედავად ქვეყანაში პუი-ის დიდი ნაკადების შემოდინებისა, ჯერ კიდევ შედარებით ცოტა ინვესტიცია იდება საექსპორტო პროდუქტების წარმოებაში. ევროკავშირში საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან ექსპორტის შემთხვევაში სატარიფო სხვაობების არსებობა და სხვა არასატარიფო ბარიერების გადალახვა წარმოადგენს სტიმულს პუი-ისთვის, რასაც განაპირობებს პუი-ის პოტენციური წყარო ქვეყნების არსებულ ექსპორტის პორტფოლიოებსა და მაღალი სატარიფო სხვაობებისა და ლმობიერი წარმოშობის წესების მქონე პროდუქტებს შორის თანხვედრა.

საქართველოს მთავრობამ, მიზანმიმართული ინვესტიციების მოზიდვის მიდგომის გამოყენებით, უნდა შეისწავლოს ეს პოტენციალი და მოხილავდეს. მთავრობამ – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და ინვესტიციების მოზიდვის სააგენტომ „Invest in Georgia“ – უნდა გამოიყენოს წინამდებარე ნაშრომში გაკეთებული დასკვნები. კერძოდ, მან უნდა გამოიყენოს სატარიფო ხაზების დეტალური სია წყარო ქვეყნების ექსპორტის პორტფოლიოებისა და ამ ქვეყნების არასატარიფო ბარიერების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, რათა, პირველ რიგში, მოძებნოს კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ და ექსპორტზე გააქვთ მიმზიდველი პროდუქტები. მან უნდა შეაფასოს, რომელი მათგანი შეიძლება იყოს რეალური პოტენციური ინვესტორი საქართველოში. პოტენციური ინვესტორებისთვის დაწესებული ტარიფებისა და საქართველოს, როგორც საექსპორტო პლატფორმის, მეშვეობით ევროკავშირის ბაზარზე წვდომის ხარისხის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ინტეგრირებული კომპონენტი, როდესაც ვესაუბრებით ინვესტორებს, ისევე, როგორც განსახილველ პროდუქტებზე მოქმედი წარმოშობის წესების რეგულაციების შესახებ ინფორმაცია. ხშირად, ინფორმაციის ხარვეზი არსებობს ინვესტორის მხარესაც. ასეთი ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას, რათა მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა.

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მხოლოდ საქართველოს არ აქვს ტარიფებისგან თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე. საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის საქართველო არაერთ სხვა ქვეყანას უწევს კონკურენციას, როგორც უშუალოდ ევროკავშირის წევრ ისე ევროკავშირთან DCFTA-ით ან სხვა ფორმით თავისუფალი წვდომის მქონე ქვეყნებს. პოტენციური ინვესტორები ყურადღებით შეისწავლიან, რომელი ქვეყანა სთავაზობს მათ საუკეთესო საექსპორტო პლატფორმას. ამიტომ, ერთის მხრივ, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმ პოტენციურ წყარო ქვეყნებზე, რომელთაც აქვთ არსებული კავშირები და სიახლოვე საქართველოსთან. ინვესტორებისთვის ამ ქვეყნებიდან საქართველო, სავარაუდოდ, ბევრად სასურველი საინვესტიციო ადგილია, რადგან იცნობენ მას და მის არსებულ ბიზნეს-გარემოს. მეორეს მხრივ, პუი-ისთვის კონკურენცია მაღალია და საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს კონკურენტუნარიანობა პუი-ის მოზიდვაში და ქვეყნის ბიზნეს-გარემოს მუდმივი გაუმჯობესება. ეს გულისხმობს როგორც ზოგადი ბიზნესის პირობების გაუმჯობესებას (მაგალითად, ქართული ბიზნეს-გარემოს ისეთ ცნობილ ხარვეზებზე მუშაობა, როგორცაა გადახდისუნარიანობის აღმოფხვრა ან კომპანიების წვდომა მაღალი ხარისხის ელექტროენერჯიაზე¹⁹), რაც უაღრესად რელევანტურია ინვესტორებისთვის, განსაკუთრებით

¹⁹ იხ. PB/02/2016, რომელშიც წარმოდგენილია GET-ის შეთავაზება, როგორ უნდა გაუმჯობესდეს ბიზნესის წვდომა ელექტროენერჯიაზე, /PP/02/2016 და PB/04/2016, თუ როგორ და რატომ უნდა გაუმჯობესდეს საქართველოს კანონმდებლობა გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ.


სამრეწველო დარგებში, ისე სექტორის პოლიტიკის განვითარებაში საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ის პოტენციალის ლოგიკის გამარტივებას.

დანართი

პუი საქართველოში წყარო ქვეყნების მიხედვით

გრაფიკი A1

პუი საქართველოში წყარო ქვეყნების მიხედვით, 2015 წელი



წყარო: საქსტატი

მონაცემთა ბაზა

ამ კვლევაში ჩვენ ვიყენებთ UNCTAD-ის ვაჭრობის ანალიზის საინფორმაციო სისტემის (Trade Analysis Information System – TRAINS) ტარიფების მონაცემთა ბაზას, რომელზე წვდომასაც გვაძლევს მსოფლიოს ინტეგრირებული სავაჭრო გადაწყვეტა (World Integrated Trade Solution – WITS)²⁰. TRAIN მოიცავს ინფორმაციას გამოყენებული MFN-ის ტარიფების შესახებ ყველაზე დეტალურ ეროვნულ დონეზე, კერძოდ კი სავაჭრო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის 10-ციფრიან დონეზე.

ყველა სატარიფო განაკვეთი წარმოდგენილია, როგორც ადვალორული ეკვივალენტი (AVE), ე.ი. ნიშნავს პროდუქტის ღირებულების პროცენტულ მაჩვენებელს. ეს ნიშნავს, რომ სპეციფიკური და რთული სატარიფო განაკვეთები გადაყვანილია ადვალორულ განაკვეთში კონკრეტულ წელს პროდუქტის საშუალო ღირებულების გამოყენებით. ამიტომ AVE დამოკიდებულია პროდუქტის ფასზე და უნდა მივიჩნიოთ როგორც ინდიკატორული შეფასება.

²⁰ <http://wits.worldbank.org/>

ევროკავშირის მიერ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით გამოყენებული ტარიფების მონაცემთა ბაზა მოიცავს 14790 სატარიფო ხაზს, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია AVE²¹. გამარტივების მიზნით AVE-ს ნაცვლად ჩვენ ვიყენებთ ტარიფს.

ჰუი-ის მაღალი პოტენციალის მქონე კონკრეტული პროდუქტების მაგალითები

ორი ფაქტორის კომბინაციის გამოყენებით, თითოეული პოტენციური წყარო ქვეყნისთვის ჩვენ შევარჩიეთ პროდუქტები, რომლებიც ყველაზე იმედისმომცემია. ეს ფაქტორებია:

- საშუალო ტარიფი პროდუქტის კატეგორიის HS-ის 6-ციფრიან დონეზე
- პროდუქტის ევროკავშირის გარეთ ექსპორტის წილი ქვეყნის ევროკავშირის გარეთ მთლიან ექსპორტში.

როგორც ადრე განვიხილეთ, ჩვენ ვითვალისწინებთ მხოლოდ იმ პროდუქტებს, რომლებიც ევროკავშირის ბაზარი არ მარაგდება. თუ შერჩეულ პროდუქტებზე მოქმედებს არასატარიფო ბარიერები, ჩვენ ვნიშნავთ მათ, როგორც დამატებით არგუმენტს საექსპორტო პლატფორმისთვის საჭირო პუი-ისთვის.

ცხრილი A1

აზერბაიჯანი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა	ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარი ფორმით (გარდა ლერწმისა და ჭარხლის შაქრისა, რომელიც შეიცავს დამატებულ არომატულ ან საღებავ და ნედლე შაქარს)	68,5	68,5	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტა
	საკვები ნარევი ან მზა ცხოველური ან მცენარეული ზეთები და სხვადასხვა ცხიმებისა და ზეთების საკვები ფრაქციები (გარდა ცხიმებისა და მათი შემადგენელი ფრაქციებისა, ნაწილობრივ ან სრულად ჰიდროირებული, ესტერიფიცირებული, ხელახლა რეესტერიფიცირებული	17,7	29,2	
	მცენარეული ცხიმები და ზეთები და მათი ფრაქციები, სრულად ან ნაწილობრივ ჰიდროდამუშავებული, ესტერიფიცირებული, რეესტერიფიცირებული, მიუხედავად იმისა რაფინირებულია თუ არა, მაგრამ არ არის მომზადებული	10,1	12,8	
	ახალი ხურმა	8,8	8,8	
	კიტრი და კორნიშონი, ახალი თუ გაცივებული	28,8	61,2	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტა
მრეწველობა	ტომრები და ჩანთები პროდუქტების შეფუთვისთვის, პოლიეთილენის თუ პოლიპროპილენის ხაზით ან მსგავსი (გარდა მოქნილი შუალედური კონტეინერისა)	9,6	12,0	
	მთლიანი მარცვლები, გაურჩეველი და დარჩეული	5,5	5,5	

²¹ 178 სატარიფო ხაზის შემთხვევაში, მონაცემთა ბაზა არ გვაწვდის AVE-ს გამოთვლებს. ეს ეხება პროდუქტების, რომლებიც მიეკუთვნება H-ის შემდეგ კოდებს: 04, 08, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 33, and 91

მარცვლები სველ მდგომარეობაში, „მათ შორის „Wet-Blue“, რქოსანი პირუტყვის ტყავის, მათ შორის კამეჩის ან ცხენის ჯიშის ცხოველის, გათრიმული, ბეწვის გარეშე (გარდა მომზადებული)			
მსხვილფეხა რქოსნის ტყავი „მათ შორის კამეჩის“ ან ცხენის ჯიშის პირუტყვის, მშრალ მდგომარეობაში, „ქერქი“, ბეწვის გარეშე, გატყავებული თუ არა (გარდა დამუშავებულისა და მთლიანი მარცვლებისა, დარჩეული თუ დაურჩეველი მარცვლებისა)	6,3	6,5	
მატყლის ქსოვილები, რომელიც ძირითად შეიცავს 85% ნაკლებ აბრეშუმსა და აბრეშუმის ნარჩენებს	6,9	6,9	
ნახშირი ტანსაცმელი და ტანსაცმლის აქსესუარები, საბნები და სამოგზაურო პლედეები, საოჯახო თეთრეული და ინტერიერის ნივთები, ყველა ტიპის ქსოვილები, მათ შორის ნებისმიერი ტიპის ფესხაცმელი და ქუდი	5,3	5,3	

წყარო: WITS, UN ComTrade-ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A2

ჩინეთი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა	გაყინული ღორის ხორცი (გარდა ტანისა, ნახევარტანისა, ბარკლების, ბეჭებისა და ნაჭრებისა ძვლებით)	29,9	32,7	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები / ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე/ ჩინეთის ექსპორტის ლიცენზია
	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მზა ან დაკონსერვებული ხორცი (გარდა ძეხვისა და მსგავსი პროდუქტებისა, წვრილად ჰომოგენიზებული ნაჭრები განკუთვნილი საცალო გაყიდვებისთვის, როგორც ბავშვის საკვები ან დიეტური მიზნებისთვის, 250 გრამიან კონტეინერებში, ცოცხალი საქონლის დამუშავებული პროდუქტები	32,5	64,4	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	ახალი ან გაცივებული კარტოფილი (გარდა თესლისა)	9,6	11,5	
	ცხიმინი რძე და ნაღები 1%-ზე მეტი და 6%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	46,9	52,4	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე
	არადენატურირებული ეთილის სპირტი 80%-ზე მეტი ჩვეულებრივი ალკოჰოლის ძალით	18,8	18,8	
მრეწველობა	მოქსოვილი ქსოვილი, რომელიც შეიცავს 85%-ზე მეტ აკრილის ან მოდაკრილის ბოჭკოს, გათეთრებული თუ გაუთეთრებელი	8	8	
	მრავალშრიანი ან დახვეული სელის ნართი	5	5	
	მსხვილფეხა რქოსნის ტყავი „მათ შორის კამეჩის“ ან ცხენის ჯიშის პირუტყვის, მშრალ მდგომარეობაში, „ქერქი“, ბეწვის გარეშე, გატყავებული თუ არა (გარდა დამუშავებულისა	5,5	5,5	

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
	და მთლიანი მარცვლებისა, დარჩეული თუ დაურჩეველი მარცვლებისა)			
	სტერინის მჟავა, სამრეწველო	5,1	5,1	
	ხალიჩები და იატაკის სხვა ქსოვილის საფარი, მოქსოვილი, არა ფოჩებიანი ან გათელილი, არა კაფელის ზედაპირისთვის, არახელოვნური (გარდა ხალიჩებისა, მყარად ნაქსოვი ნოხებისა და ქოქოსის ბოჭკოს „ნართის“ იატაკის საფარისა)	8,0	8,0	

წყარო: WITS, UN ComTrade -ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A3

ირანი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	
სოფლის მეურნეობა	კიტრი და კორნიშონი, ახალი თუ გაცივებული	28,8	61,2	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები
	ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარი ფორმით (გარდა ლერწმისა და ჭარხლის შაქრისა, რომელიც შეიცავს დამატებულ არომატულ ან საღებავ და ნედლ შაქარს)	68,5	68,5	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები
	იოგურტი, შაქრის ან სხვა დამატებობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	54,0	141,1	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	დო, აჭრილი რძე და ნაღები, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შაქრის ან სხვა დამატებობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე (გარდა იოგურტისა)	71,7	151,3	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	ყველი (გარდა ახალი ყველისა, შრატის ყველისა, აჭრილი, დამუშავებული ყველისა, დაობებული და სხვა ყველისა, რომელიც შეიცავს „Penicillium roqueforti“, გახეხილი და ფხვიერი ყველისა)	34,9	49,1	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები / ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
მრეწველობა	ფეხსაცმელი გარე ძირებით და რეზინის ან პლასტმასის ძირებით	16,8	17,0	
	ჭურჭელი და სამზარეულოს ნივთები, ფაიფურის (გარდა ორნამენტული ნაწარმისა, ქოთნების, დოქების, ბოცებისა და სხვა მსგავსი კერამიკის პროდუქტების საზიდი ნაწარმისა, ყავისა და სუნელების საფუძვლებისა)	12,0	12,0	
	ხალიჩები და იატაკის სხვა საფარი, ადამიანის დამზადებული ქსოვილები, ფოჩებიანი ან ნემსით ნაქსოვი	8,0	8,0	
	ტომრები და ჩანთები, პროდუქტების შესაფუთი, პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის ძაფის ან მსგავსი (გარდა მოქნილი შუალედური	9,6	12,0	

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	
კონტინერისა)			
კერამიკური ნიჟარები, პირსაბანები, პირსაბანის საყრდენები, აბაზანები, ბიდები, წყლის კარადები, ჩასარეცხი ავზები, პისუარები და მსგავსი სანიტარული ინვენტარი, ფაიფურის (გარდა სასაპნებისა, ღრუბლის დასადებისა, კბილის ჯაგრისის დასადებისა, პირსახოცის საკიდისა და ტუალეტის ქაღალდის საკიდისა)	7,0	7,0	

წყარო: WITS, UN ComTrade-ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A4

ყაზახეთი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა			
ხორბლის ან ჭვავის ფქვილი	44,2	44,2	
ქერი (გარდა სათესი თესლისა)	41,8	41,8	
ხორბლის და ჭვავის თესლი სათესად	31,4	40,8	
ცხიმისანი რძე და ნაღები 1%-ზე მეტი და 6%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	46,9	52,4	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
ანაცერი, ქათო ან ხორბლის სხვა ნარჩენები, გრანულების ფორმით, დაფქვით, გაცრით ან სხვა გზით მიღებული	37,7	50,5	
მრეწველობა			
ფეხსაცმელი ძირებით და რეზინის ან პლასტმასის ძირებით (გარდა ტერფამდე დაფარული ან ზედა თასმებით აწებებული სანთლით, წყალგაუმტარი ფეხსაცმელი სათაურით 6401, სპორტული ფეხსაცმელი, ორთოპედული ფეხსაცმელი და სათამაშო ფეხსაცმელი)	16,8	17,0	
სანიტარული პირსახოცები (ბალიშები) და ტამპონები, ხელსახოცები და ხელსახოცები ბავშვებისთვის, ნებისმიერი მასალის მსგავსი ნაწარმი	8,4	10,5	
ჭურჭელი და სამზარეულოს ნივთები, ფაიფურის (გარდა ორნამენტული ნაწარმისა, ქოთნების, დოქების, ბოცებისა და სხვა მსგავსი კერამიკის პროდუქტების საზიდი ნაწარმისა, ყავისა და სუნელების საფქვავეებისა)	12,0	12,0	
მთელმარცვლიანი ტყავი „პერგამენტის ტყავის ჩათვლით“ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის „კამეჩის ჩათვლით“ ტყავისგან განუყოფელად, გათრიმვისა და გატყავების შემდეგ დამუშავებული, ბეწვის გარეშე (გარდა ზამშის ტყავისა, ლაქის ტყავისა, ტყავის შემცველისა და ლამინატის შემცველისა)	6,5	6,5	
ქალის ან გოგონას ქსოვილის მასალის	12,0	12,0	

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
	ნაკრები (გარდა ბამბის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, სათხილამურო აღჭურვილობისა და საცურაო აღჭურვილობისა)			

წყარო: WITS, UN ComTrade-ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A5

კუვეიტი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა	რძე და ნაღები, კონცენტრირებული, დაუტკბობელი (გარდა მყარი ფორმისა)	114,2	189,7	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის/ კუვეიტის ექსპორტის ლიცენზია
	ხორბლის ან ჭვავის ფქვილი	44,2	44,2	კუვეიტის ექსპორტის ლიცენზია
	ცხიმის რძე და ნაღები 6%-ზე მეტი და 10%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით	79,7	80,3	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის/ კუვეიტის ექსპორტის ლიცენზია
	საკვები პროდუქტები	11,1	12,8	კუვეიტის ექსპორტის ლიცენზია
	შრატის ან მოდიფიცირებული შრატის, კონცენტრირებული ან არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით	146,8	190,2	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის/ კუვეიტის ექსპორტის ლიცენზია
მრეწველობა	ქსოვილის მასალის კარვები (გარდა სინთეზური ბოჭკოსი, ქოლგებისა და სათამაშო კარვებისა)	12,0	12,0	
	ბადები, მატრასები, დაფები და მსგავსი უქსოვადი პროდუქტები, მინის ბოჭკოს (გარდა საგებებისა და თხელი ფარდაგებისა)	5,0	5,0	
	მინის ბოჭკო, მინის შალითა და მათი ნაწარმი (გარდა მატყლისა, ბოჭკოს ხვეულებისა, ნართებისა, დაჭრილი ბოჭკოსი. შეიცავს ვიწრო ბოჭკოს, თხელ ფენებს, ბადებს, მატრასებს, დაფებსა და მსგავსი უქსოვადი პროდუქტები, მინერალური ბამბა და მისი ნაწარმი)	7,0	7,0	
	სპეციალური ტანსაცმელი პროფესიონალი სპორტული თუ სხვა მიზნებისთვის. ბამბის, მანქანით ან ხელით ნაქსოვი	12,0	12,0	
	ფეხსაცმელი რეზინის ან პლასტმასის ძირით (გარდა ტერფამდე დაფარული ან ზედა თასმებით აწებებული სანთლით, წყალგაუმტარი ფეხსაცმელი სათაურით 6401, სპორტული ფეხსაცმელი, ორთოპედიული	16,8	17,0	

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
	ფეხსაცმელი და სათამაშო ფეხსაცმელი)			

წყარო: WITS, UN ComTrade-ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A6

რუსეთი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა	დო, აჭრილი რძე და ნაღები, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე (გარდა იოგურტისა)	71,7	151,3	
	რძე და ნაღები, კონცენტრირებული, დაუტკობელი (გარდა მყარი ფორმისა)	114,2	189,7	
	ანაცერი, ქათო ან ხორბლის სხვა ნარჩენები, გრანულების ფორმით, დაფქვით, გაცრით ან სხვა გზით მიღებული	37,7	50,5	
	ძეხვი და ხორცის, შიგნეულისა და სისხლის მსგავსი პროდუქტები, ამ პროდუქტებზე დამზადებული საკვები პროდუქტები	25,4	36,3	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები
	ხორბლის და ჭვავის ფქვილი	44,2	44,2	
მრეწველობა	ველოსიპედები და სხვა, მათ შორის მიწოდების სამთვლიანი ველოსიპედები, არამოტორიზებული	14,6	15,0	
	ტანსაცმლის ნაწილები და აქსესუარები, მანქანით ან ხელით ნაქსოვი, n.e.s.	12,0	12,0	
	შესაკრავი და სახვევი ბაწრები, პოლიეთილენის ან პოლიპროპილენის	8,0	8,0	
	ნაილონის ან სხვა პოლიამიდების მაღალი დრეკადობის საბურავის ბოჭკო, პლასტმასით ან რეზინით გაჟღენთილი ან გაუჟღენტავი	6,8	8,0	
	იატაკის საფარი, დასაფარი თუ დასაფენი, ტექსტილის სარჩულით, ფორმებად გამოჭრილი თუ გამოუჭრელი (გარდა ლინოლეუმისა)	5,3	5,3	

წყარო: WITS, UN ComTrade-ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A7

საუდის არაბეთი: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა	ხილის წვენების ნარევები, მათ შორის, ყურძნის ბადაგი, ბოსტნეულის წვენები, არაფერმენტირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი საშუალებებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველისა)	28,0	52,2	
	ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარ მდგომარეობაში (გარდა ლერწმის ან ჭარხლის შაქრისა,	68,5	68,5	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
	რომელიც შეიცავს არომატულ ან შეფერილობის დანამატებს და შაქრის ნედლეულს			
	იოგურტი, საგემოვნო დანამატებით, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	54,0	141,1	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე	71,7	151,3	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	ხილის ან ბოსტნეულის წვენები, არაფერმენტირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი საშუალებებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველი, ნარევების, ციტრუსის, ანანასის, პომიდვრის, ყურძნის წვენებისა, მათ შორის ყურძნის ბადაგისა, ვაშლისა და მოცვისა)	24,4	44,2	
მრეწველობა	მინის ბოჭკოები, მათ შორის მინის ნართი და მისი ნაწარმი (გარდა უფერო ნატეხებისა, როვინგებისა, ნართებისა, დაჭრილი ბოჭკოსი, ქსოვილის ბოჭკოსი, მათ შორის, ვიწრო ბოჭკოები, თხელი ფურცლები, ქსელები, ხალიჩები, მატრასები, დაფები და სხვა მსგავსი უქსოვადი პროდუქტები, მინერალური ბამბა და მისი ნაწარმი	7,0	7,0	
	ხალიჩები და იატაკის დანარჩენი საფენები, ხელოვნური ტექსტილის მასალა, ნაქსოვი, არა ფორებიანი ან გათელილი, არა კაფელის ზედაპირისთვის, არახელოვნური (გარდა ხალიჩებისა ან ხელით ნაქსოვი დასაფენებისა)	8,0	8,0	
	ბიჭის ან მამაკაცის ტექსტილის მასალის ჟაკეტები და ქურთუკები (გარდა ბამბისა, ცხოველის ბეწვისა, ბამბის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, მანქანით ან ხელით ნაქსოვისა, ქარის ქურთუკებისა და მსგავსი ნაწარმისა)	12,0	12,0	
	ქეჩა, გაჟღენთილი, დაფარვით, დუბლირებული ან ლამინირებული (გარდა დაზვით ნაქსოვი ქეჩისა და დაკერებული ბოჭკოვანი ქსოვილებისა)	6,7	6,7	
	ტექსტილის მასალის საბნები და სამოგზაურო პლედები (გარდა მატყლის ცხოველის ბეწვის, ბამბის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, ელექტრო, მაგიდის გადასაფარებლებისა, ლოგინის თეთრეულისა და ლოგინის ნაწარმი და მსგავსი მოსაპირკეთებელი საქონელი 9404 სათაურის ფარგლებში)	12,0	12,0	

წყარო: WITS, UN ComTrade-ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

ცხრილი A8

არაბთა გაერთიანებული საამირო: მაღალი სატარიფო სხვაობების მქონე პროდუქტების მაგალითები

	აღწერა	საშუალო ტარიფი, %	მაქსიმალური ტარიფი, %	არასატარიფო ბარიერები
სოფლის მეურნეობა	რძე და ნაღები, კონცენტრირებული, დამატკობლების გარეშე (გარდა მყარი ფორმებისა)	114,2	189,7	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	ცხოველების კვებაში გამოყენებული პრეპარატები (გარდა საცალო გაყიდვებისთვის განკუთვნილი ძაღლის ან კატის საკვებისა)	64,3	153,1	
	შრატი და მოდიფიცირებული შრატი, კონცენტრირებული ან არაკონცენტრირებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი საშუალებებით ან მათ გარეშე	146,8	190,2	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	ცხიმინი რძე და ნაღები 1%-ზე მეტი და 6%-ზე ნაკლები წონით, არაკონცენტრირებული, , შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების დამატებით	46,9	52,4	ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
	Gallus domesticus-ის ჯიშის ცხოველების ხორცი ან შიგნეული, მზა ან დაკონსერვებული (გარდა ძეხვისა და მსგავსი პროდუქტებისა, საცალო გაყიდვებისთვის განკუთვნილი წვრილად ჰომოგენიზებული პრეპარატები როგორც ბავშვის საკვები ან დიეტური დანიშნულების, 250 გრამიან კონტეინერებში)	71,4	79,7	ევროკავშირის სატარიფო განაკვეთის კვოტები / ევროკავშირის წვდომა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის
მრეწველობა	ტექსტილის მასალის მამაკაცისა და ბიჭების კოსტიუმები (გარდა მატყლის, ცხოველის ბეწვის ან სინთეტიკური ბოჭკოსი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი, კომბინიზონი, სათხილამურო და საცურაო კოსტუმი)	12,0	12,0	
	ნეილონის ან სხვა პოლიამიდების ხალიჩები და იატაკის საფარები, ფოჩებიანი, ნემსით ამოქარტული, მზა ან არამზა	8,0	8,0	
	სპორტული ფეხსაცმელი, ჩოგბურთის, კალათბურთის, სპორტ-დარბაზის, სასწავლო ფეხსაცმელი და მსგავსი, რეზინის ან პლასტმასის გარე ძირებით, ტექსტილის მასალის ზედა ნაწილით	16,9	16,9	
	ხელოვნური ბოჭკოს მამაკაცისა და ბიჭის მაისურები (გარდა ხელით ან მანქანით ნაქსოვი, პერანგები, სათბურები და სხვა ჟილეტები)	12,0	12,0	
	იატაკის ქეჩის ფილები, 0,3 მ ² ზომისა	6,7	6,7	

წყარო: WITS, UN ComTrade -ის მონაცემთა საფუძველზე ავტორების მიერ გაკეთებული ანალიზი

მიმდინარე კვლევითი ნაშრომების სერია

- საქართველოს ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსების ვარიანტები. გეორგ ზაჰმანი, დავიდ საჰა, კვლევითი ნაშრომი PP/02/2016
- გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ საქართველოს კანონის გადახდისუუნარობის თავიდან აცილება. ჰანს იანუსი, კვლევითი ნაშრომი PP/01/2016
- საქართველოს წიადის კანონმდებლობის საინვესტიციო დაბრკოლებების აღმოფხვრა. დავიდ საჰა, ჰანს-გეორგ პეტერსენი, ლევან ფავლენიშვილი, ვოლდემარ ვალტერი, კვლევითი ნაშრომი PP/05/2015
- გაცვლითი კურსი და საქართველოს მიმდინარე ანგარიში. სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი, კვლევითი ნაშრომი PP/04/2015
- მოკლევადიანი რისკები და გრძელვადიანი გამოწვევები საქართველოს ღვინის წარმოებაში. სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი და დავიდ საჰა, კვლევითი ნაშრომი PP/03/2015
- შეიძლება თუ არა ელექტროენერჯის დაბალი ფასები იყოს საქართველოს შედარებითი უპირატესობა? გეორგ ზაჰმანი, კვლევითი ნაშრომი PP/02/2015

მიმდინარე კვლევითი პრეზენტაციების სია

- საქართველოს ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსების ვარიანტები. გეორგ ზაჰმანი, დავიდ საჰა, კვლევითი პრეზენტაცია PB/06/2016
- ევროპის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი: ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ის როლი ბ) არასატარიფო ბარიერების როლი პოტენციური წყარო ქვეყნებისთვის. ვერონიკა მოვჩანი, დავიდ საჰა, კვლევითი პრეზენტაციების სერიები PB/05/2016
- ევროპის არაწევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი: ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ის როლი (ა) სატარიფო სხვაობებით განპირობებული პოტენციალი. ვერონიკა მოვჩანი, დავიდ საჰა, კვლევითი პრეზენტაციების სერიები PB/04/2016
- გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ საქართველოს კანონის გადახდისუუნარობის თავიდან აცილება – შედეგების შეჯამება, ჰანს იანუსი, კვლევითი პრეზენტაციები PB/03/2016
- საქართველოში ბიზნესების ელექტროენერჯიაზე წვდომის გაუმჯობესება, ლევან ფავლენიშვილი, დავიდ საჰა, გეორგ ზაჰმანი, ერიკ ლივნი, კვლევითი პრეზენტაციები PB/02/2016
- საქართველოს ექსპორტი სომხეთში: მნიშვნელოვანია თუ არა სომხეთის წევრობა ევრაზიის სავაჭრო კავშირში? ვერონიკა მოვჩანი, რიკარდო გიუჩი, კვლევითი პრეზენტაცია PB/01/2016
- გაცვლითი კურსი და საქართველოს მიმდინარე ანგარიში – შედეგების შეჯამება, სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი PB/10/2015
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ეკონომიკური ანალიზის გაძლიერება. დავიდ საჰა, კვლევითი პრეზენტაციები PB/09/2015

ყველა ნაშრომის, პრეზენტაციისა და მომავალი პუბლიკაციის უფასოდ ჩამოტვირთვა შესაძლებელია <http://www.get-georgia.de/publikationen/policy-papers/>. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მიმართოთ გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველოს შემდეგ ელ-ფოსტაზე: info@get-georgien.de.